საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 2014 წელი.

№24 (7405)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

②③

ბიძინა ივანიშვილი:

„ეკონომიკის ვარდნა“ აბსოლუტურად ჯანსაღად მოხდა

⊙ ვაი ჩვენს პატრონს!

რა ვქნათ ახლა, გიგუჩი?

შენ დაგიჯერეთ, რიჩარდ ნორლანდს თუ სულაც ჯიჯის მივაკითხოთ, ალფაიძეს?

გიგას მივმართავ ამ რეპლიკით, ბოკერიას, რომელმაც, რომ იტყვიან, კრიტიკის ქარცეცხლი დაანთო „გუშლამ“ „რუსთავი-2“-ის ტელეეთერში: შეგვარცხვინა და გვიღალატაო მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლით ღარიბაშვილმა, ჩვენმა პრემიერმაო!

თუმცა, რად გვინდა „პერესკაზი“, „გადავახვიოთ“ იმისეული ნათქვამი:

„ეს იყო სრული კატასტროფა პრემიერ-მინისტრის. მან არ დააფიქსირა მკაფიო პოზიცია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების; მან არ დააფიქსირა საქართველოს პოზიცია, თუ რამდენად პრობლემატურია ის ვითარება, რომელიც ჩვენ გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიებთან და, ზოგადად, რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით“.

მერე დავით დარჩიაშვილის კომენტარი-შეფასებაც მოვისმინე, მეორე მამალი გნაცმოძელისა, და საერთოდ დამცეცხლა.

ნუთუ მართლა!..

და რომ მეგონა, ლამის ცის თაღი მოირღვა და ჩამომექცა-მეთქი, მაშინ გამინათდა გონება: **ნორლანდი, რიჩარდ ნორლანდი — აშშ-ის ელჩი! ის მეტყვის სიმართლეს!!!**

ვეცი პულტს, გადავახვ-გადმოვახვიე გადაცემები და...

აი, „სასტუმრო“ „რადისონში“ კომპანია „ვისოლის“ მიერ გამართულ ღონისძიებაზე მის მიერ გაკეთებული განცხადება-შეფასება:

„თებერვალი საქართველოს-

თვის კარგად დაიწყო. თქვენი პრემიერ-მინისტრი წარმატებით გამოვიდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო მას. ირაკლი ღარიბაშვილმა კვლავ განაცხადა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილი. მან ამერიკის შეერთებული შტატებისგან ამ პროცესში მხარდაჭერა მიიღო“.

რა ვქნათ ახლა, გიგუჩი? **ვისაც შენი არ გვჯერა, ჯიჯის მივაკითხოთ, ალფაიძეს, შალიკო ხვინგიაძის უტყუარ „მოწმეს“, ორმოცდასამში რომ დაღუპულა, თუ ცოცხალ რიჩარდ ნორლანდს დავუჯეროთ?**

თუმცა, აქვს კი აზრი შენთან და შენნაირ გნაცმოძრაობელებთან კამათს?

ჩემს ამასწინანდელ პუბლიკაციაში სოსო ჯაჭვლიანს დავეთანხმე თქვენნაირთა შეფასებაში. **ნაცმოძრაობა ბოზი ქალივითაა, თუ „ტრუსიკის“ აწევა მოასწრო, აქით შემოგიტევსო,** ამტკიცებდა იგი.

არც მთლად ისეა საქმე, სოსო ბატონო, შენ, ბუნებით პატიოსან მთიელ კაცს, რომ გგონია: ნაცმოძრაობა ტრუსებჩახდილი გამოიჭირო კი არა, „ზედაც“ რომ წაასწრო, მაინც შემოგიტევს — რა მოხდა, „კიტრი“ ვის არ სჭერია ხელშიო!

რუსლან რუსია

რატომ ვიქეცით ბევრისთვის საჯილდაო ქვად?!..

⑤

საქართველოს პოლიტიკური გზაჯვარედინი: „ეროვნულები“, „პროგრესულები“ და დაბნეულები

„ვამბობთ ფირმას და ვგულისხმობთ ვანოს!“

⑦

ნუსხა, რომელშიც ვანო მერაბიშვილთან ასოცირებული კომპანიებია ასახული

„ყაზტრანსგაზის“ წინაალმდეგ 6 თებერვალს აქცია იგეგმება

④

ახალი „რეაქცია“, ძველი ინგას რებრედინგი თუ დასაჭურისებული ნაცების პოლიტერექციის მცდელობა?

④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ბიძინა ივანიშვილი: „ეკონომიკის ვარდნა“ აბსოლუტურად ჯანსაღად მოხდა

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე 2014 წლის 4 თებერვალს

ბიძინა ივანიშვილი **სუროგაციის შესახებ პატრიარქის ეპისტოლეს გამოეხმაურა, ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე განაცხადა.**

„მეც შევდივარ საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც უდიდეს პატივს სცემს საკუთარ ისტორიას, ტრადიციებს, საკუთარ ეკლესიას, მართლმადიდებლობას. უდიდეს პატივს ვცემ თვითონ პატრიარქს, ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს მასთან და ძალიან მიყვარს. მაგრამ საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის ხელშეუხებელი. ეს არ უნდა იყოს ასე. ამას არ საჭიროებს არც პატრიარქი და არც ეკლესია“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მისი აზრია, რომ ეკლესიაში არანაკლები პრობლემებია, ვიდრე საზოგადოებაში.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ბიძინა ივანიშვილს აქვს თუ არა იგივე დამოკიდებულება, როგორც აქამდე აცხადებდა, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ გაანიავა საზღვაო ფლოტი და ფლოტის გადარჩენით შეიქმნება ასეულობით სამუშაო ადგილი?

„საზღვაო ფლოტთან დაკავშირებით იგივე დამოკიდებულება მაქვს. ფლოტი იქნება მაშინ, როდესაც ხელისუფლება გაიაზრებს და ექნება შესაძლებლობა, რომ ამ მიმართულებით თანხები გადადოს. ეს კითხვა ძალიან კარგია. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მითხრან, დაპირებები რატომ არ სრულდებაო. ალბათ, „ნაციონალებს“ გაუხარდებათ და შემეკითხებიან, რატომ არ აღადგინეთ ფლოტიო“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ბიუჯეტიდან სწორად უნდა მოხდეს თანხების განსაზღვრა — ფლოტზე დაიხარჯოს, ჯანდაცვაზე თუ სხვა მიმართულებებზე. როგორც ივანიშვილი აღნიშნავს, ამ პროცესში უნდა იყოს ჩართული სამოქალაქო სექტორი, რათა ყოფილი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები არ განმეორდეს.

„ეს არის ზუსტად „მოქალაქის“ დაფუძნების პრინციპი, საზოგადოებამ კარგად და, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიგოს დაქირავნების პროცესი, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების კონტროლს როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ. ხელისუფლების კონტროლი ნიშნავს იმასაც, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში და იმაში, თუ როგორ ნაწილდება იქ თანხები. სწორად უნდა განისაზღვროს, ფლოტის აღდგენა უნდა დავაჩქაროთ, თუ ჯანდაცვას ან სხვა სფეროებს მოვახმაროთ თანხები. ამაში უნდა გავერკვეთ, რომ არ მივიღოთ უბედურება“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამავე თემაზე საუბრისას, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს 2 მილიარდი ევროს ღირებულების იარაღის შესყიდვა მოხდა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლების ადრეულ წლებში, როგორც მე ვიცი, 2 მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა იარაღის შესყიდვაზე. ახლა 200 მილიონისაც არ გვექნება. ისინი იტყვიან, რომ ომში ეს ყველაფერი განადგურდა. არც ის ვიცოდით, რომ შეიძინეს, არც პროცესებში მიუღიათ მონაწილეობა. სწორედ ამ პროცესებში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რომ სახელმწიფო სწორად წავიდეს. ასეევა ფლოტთან, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით - ჩვენი მონაწილეობა აუცილებელია“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, **კეზერაშვილთან მიმართებაში იარაღის შესყიდვაზე კითხვები მასაც აქვს, „მაგრამ დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმფცია და კეზერაშვილსაც ნუ მივანიჭებთ ჯერ დამნაშავის სტატუსს, თუმცა, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამ იარაღის შეძენის დროს ფული წავიდა სხვა მიმართულებით. იარაღით ვაჭრობისას, ნარკოტიკების მსგავსად, დაახლოებით 2/3 მიდის გვერდზე“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი არ ეთანხმება ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ჩვენ გვქონდა ეკონომიკური ვარდნა.

ამით ის ბიუჯეტის გარღვევაზე კითხვას გამოეხმაურა.

„რაც შეეხება ბიუჯეტს და გარღვევას, პროცენტების ვარდნას და რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ გაჰკივის თავისი დღე და მოსწრება, ყველაფერი მოხდა აბსოლუტურად ჯანსაღად. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ხდებოდა ბიუჯეტის შევსება ნაწილობრივ საპროცესო გარიგებებით. ვიცით, როგორ აწიოკებდნენ მთელ მოსახლეობას, როგორ ართმევდნენ ქონებას. ეს ხდებოდა ჩვენს თვალწინ. ჩვენ მსგავსი არ გვიკადრებია.

ღარიბაშვილს გავაკრიტიკებდი იმის გამო, რომ არასწორად გამოიყენა ტერმინი, თითქოს ახალი ხელისუფლების პირობებში ჩვენ გვქონდა ეკონომიკური ვარდნა. არ ვეთანხმები, ჩვენ მოვედით და დავიწყეთ გაჯანსაღება. იმ პროცესით, როგორითაც „ნაციონალური მოძრაობა“ ბიუჯეტს ავსებდა და როგორც მართავდნენ ეკონომიკას, ის რესურსები მათაც ამოწურული ჰქონდათ. ბიზნესი პრაქტიკულად გამოწურული იყო. ხე რომ წვეროთი დავრგოთ მიწაში, დაახლოებით ეს ხდებოდა ქართულ ეკონომიკაში. ჩვენ გადმოვაბრუნეთ ეს ხე, ფესვები გავუჯანსაღეთ და დრო სჭირდება, რომ გაიზარდოს. ისე ეკონომიკა ვერ გაიზრდებოდა და კოლაფსს მიიღებდნენ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„მოქალაქის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას ურჩევს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა განცხადებებს იუმორით შეხედონ. როგორც ივანიშვილმა „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ ნათელაშვილის გზას ადგას.

„რამდენი პირიც არ უნდა დააკავოს და დასაჯოს პროკურატურამ და სასამართლომ, საზოგადოებაში უკმარისობის განცდა მაინც დარჩება და აგიხსნით რატომ. ახლა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ პირდაპირი მნიშვნელობით ძალადობას ველარ ახერხებს, ის მენტალურ ძალადობაზე გადავიდა — ძალადობა უტიფრობაში გადაიზარდა. ნახეთ, როგორი ტერმინებით გვესაუბრებიან, როგორ გვიკითხავენ მორალს და ჩვენ გვდებენ ბრალს იმაში, რასაც თვითონ აკეთებენ. საზოგადოებას ეგონა, რომ ისინი ბოდიშს მოიხდიდნენ, ნაცვლად ამისა, იქიდან მივიღეთ ირონიული ღიმილი, უკაცრავად და, ენას გვიყოფენ, ისევ შეურაცხყოფას გვაყენებენ. შესაბამისად, საზოგადოებაში ეს აგრესია კიდევ უფრო გაიზარდა. მინდა, მივცე რჩევა ჩვენს მოქალაქეებს, მხოლოდ იუმორი გვიშველის“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა გადაკეთება არ მოხდება.

„მათ შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი. ვიხმაროთ ჩვენი ბრძნული იუმორი. ესენი მიდიან იმ გზით, როგორითაც დადის მათი საკუთრება ნათელაშვილი და მას იყენებენ როცა დასჭირდებათ, როგორც ინსტრუმენტს. ახლაც ააქტიურებენ — ნათელაშვილი დარბის და სადაც გაფუჭებულს ნახავს, იმ წუთში ივანიშვილს ახსენებს. ერთხელ იტყვი ივანიშვილი ცუდიაო, მეორედ იტყვი, და ჰგონიათ, ეს იმუშავებს. ჩვენ მივიღებთ რამდენიმე ნათელაშვილს და უკვე გვყავს კიდეც, ოღონდ დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ — ნათელაშვილს უკვე სერიოზულად აღარ იღებენ და იუმორით უდგებიან“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ბევრი ვისწავლე, მაგრამ ბევრი რამ ვერ ვისწავლე, — ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მას შეახსენეს მაჟორიტარული სისტემის გადახედვასთან დაკავშირებით პრემიერობის დროს გაკეთებული განცხადება რაზეც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ განცხადება მართლაც ნაჩქარევად გააკეთა.

„მე მართლაც წამომცდა, ნაჩქარევად ვთქვი. ჩემი დამოკიდებულება მართლაც ასეთია, რაც ვთქვი, მაგრამ ამასაც დრო სჭირდება, განვითარება, საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა და გაგება იმისა, რა ჯობია. მე არ ვარ დიდი სპეციალისტი ამის, მუდამ ვიმეორებდი, რომ პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ, გამოუცდელი ვიყავი, არც ახლა არ ვარ იმ დონის, როგორც თუ გნებავთ, უსუფაშვილია“, — აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ და არა ივანიშვილმა ან ვინმე ერთმა პიროვნებამ გადაწყვიტოს ეს საკითხი.

მან საარჩევო კოდექსთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ უკეთესობისკენ არის ნაბიჯი გადადგმული.

„მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაინც უნდა იყვიროს. იგივე ეხება არასაპარლამენტო პარტიებსაც. კუკავა ან ნათელაშვილი არა მგონია, უკეთესი იყოს „ნაციონალებზე“. რომ გვეთქვა 50%-იანი ბარიერი უნდა იყოსო, ესენი მაინც რაღაც ახალს მოიგონებდნენ. პროცესი უკეთესობისკენ და ნაბიჯ-ნაბიჯ გაუმჯობესებისკენ მიდის“, — მიაჩნია ბიძინა ივანიშვილს.

ხუთ წუთში რომ გინდათ, ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი დაგილაგოთ, ეგრე არაა, — თქვა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რითაც საფრანგეთის სასამართლოს მიერ დავით კეზერაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ დასმულ შეკითხვას გამოეხმაურა.

მისივე განმარტებით, წინა ხელისუფლების მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების აქტიური მუშაობის გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში კეზერაშვილის წითელ ცირკულარში ჩასმაც კი ვერ მოხერხდა. ამისთვის ყველაფერს აკეთებდა წინა ხელისუფლება, რომელიც კოლოსალურ თანხას ხარჯავდა ლობისტურ კომპანიებზე. სწორედ ამ ლობირების შედეგი იყო ის, რომ არ ჩასვეს წითელ ცირკულარში. არც ერთი სახელმწიფო არ აკავებდა კეზერაშვილს და ეს კაცი „გულაობდა“, როგორც სურდა. ცალკეულ სახელმწიფოებთან ღარიბაშვილი მუშაობდა და სწორედ მას მიუძღვის ლომის წილი, რომ მისი დაკავება მოხდა.

მედიის წარმომადგენლებმა მას ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებითაც დაუსვეს შეკითხვა, რაზეც ყოფილმა პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი თანამდებობაზე დანიშვნით კანონი არ დარღვეულა.

„ის არ იყო ბრალდებული. არავითარი იურიდიული პროცედურა არ იყო დარღვეული. მას შეეძლო ყოფილიყო მთავარი პროკურორი“.

როგორც ყოფილმა პრემიერმა აღნიშნა, განწყობა საქართველოში ერთგვაროვანია — საქართველოს მოსახლეობას აქვს განუსაზღვრელი სურვილი დაბრუნდეს ევროპულ ოჯახში.

„ევროპელობა არ არის ვინმეს აღმოჩენა დღეს, „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოდგენა აქვს, რომ ევროპაც მათ აღმოაჩინეს და ამერიკაც, არა, ჩვენ ევროპაში შესვლას კი არ ვაპირებთ, ჩვენ ვერთიანდებით იმ ფასეულობებთან, რასაც ჯერ კიდევ ვაჟას ნაწერებში ნახავთ უამრავს. ეს ჩვენს გენებშია, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა, ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებაა და ამას ვერავინ ვერ შეაჩერებს. ჩვენ უკვე აქტიურად უნდა ვიფიქროთ ევროკავშირის წევრობაზე. ძალიან ჩქარი ნაბიჯებით უნდა და დავბრუნდეთ ევროპულ ოჯახში“.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, მას იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ აგვისტოში საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

„ვერავითარი ძალისხმევა და ძალადობა ჩვენ ამაში ხელს ვერ შეგვიშლის. მე კარგად შემიძლია ანალიზი და კარგად ვაცნობიერებ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. გარწმუნებთ, რომ საქართველოს დღეს ჰყავს პასუხისმგებლიანი და დამოუკიდებელი ხელისუფლება. ეს არის უპრეცედენ-

ტო არა მარტო საქართველოს ისტორიაში. არჩევნები რთული პროცესია და პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა ტიპის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ, ასეთი ტიპის დახმარებისა და მხარდაჭერის ნაცვლად მათ გარკვეული ვალდებულებები უჩნდებათ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და მსგავსი ვალდებულებები ბევრ ხელისუფლებას ცუდად აუხდა, არ დავასახელებ, ბევრი მაგალითია, თუ გნებავთ, ევროპაშიც. ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლება არის საოცრად თავისუფალი, არავის ვალი არა აქვს საქართველოს ხელისუფლებას დღეს, არც ბიზნესის, არც რომელიმე სახელმწიფოსი და პოლიტიკური ძალის, გარდა საკუთარი მოქალაქეებისა“, — აღნიშნა „მოქალაქეს“ დამფუძნებელმა.

ამასთან, ყოფილი პრემიერი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურა. მისი შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები შემაშფოთებელია. **„უკრაინა არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფო. იქ რომ მოქალაქეები დაიღუპნენ, სამწუხაროა. სამწუხაროა ისიც, რომ უკრაინამ ვერ მოახერხა, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმებისთვის. ჩვენ ძალიან გაგვიიოლებდა პროცეს უკრაინას რომ მოეხერხებინა და და ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებისთვის“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მონოპოლიის საკითხზე მუშაობა იმაზე რთული გამოდგა, ვიდრე წარმომედგინაო, — თქვა მან, როცა საწვავზე ფასების შემცირებისა და მონოპოლიასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების დაპირება შეახსენეს.

„ჩემი პრემიერობის პროცესში საწვავზე გარკვეული ფასის დაკლება მოხდა, პრემიერობის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტთანაც მომიწია ამ საკითხზე ურთიერთობა, რამეთუ ტრანზიტული ფუნქცია, რაც საქართველოს გააჩნია, ბოლომდე უნდა აღდგეს — ეს ფუნქცია იყო ლამის ნულამდე მიყვანილი, რადგან 10 %-იც აღარ მოდიოდა იმ ტვირთების, რაც უნდა გადმოსულიყო. იქ სხვადასხვა ტიპის მორიგეგები იყო, თუმცა, არ მინდა გავშალო ეს საკითხი. ჩვენ, ორი ქვეყნის მეთაური შევთანხმდით, რომ ეს სატრანზიტო ფუნქცია ორივე სახელმწიფოსთვის საინტერესოა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ამ მიმართულებით კოლოსალური სამუშაოები ჩატარდა, რომელიც გრძელდება.

„ამის შედეგს საქართველო მიიღებს. ჩვენმა ძირითადმა, სატრანზიტო ფუნქციამ დიდი დივიდენდები უნდა მოუტანოს ქვეყანას“.

„ასე არ არის, რომ ბენზინზე ფასების მერყეობა, მარტო მონოპოლიების არსებობას დავაბრალოთ. საგარეო ბაზარსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება“, — დასძინა მან.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ დღევანდელი მთავრობის მუშაობით კმაყოფილია და შენიშვნები არა აქვს.

„რაც შეეხება პროცესებს, რომელიც ვითარდება, მე ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ გვყავს დღეს ევროპული ტიპის ხელისუფლება. ძალიან მომწონს ის პოლემიკა, რომელიც საზოგადოებას და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, ჩვენ გვყავს კარგი ხელისუფლება, იდეალური ვერ გვეყოლება. სამოქალაქო საზოგადოებამაც ძალიან კარგი აქტიურობა გამოავლინა. ზოგადად, რასაც ვპირდებოდი საზოგადოებას, ძალიან კარგი გუნდით მოვედით, ძალიან ღირსეული ადამიანები არიან დღეს ხელისუფლებაში მისი მეთაურის ხელმძღვანელობით. საქართველოს დღეს ჰყავს კარგი ხელისუფლება, მაგრამ საზოგადოება არ უნდა დაწყნარდეს და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ჩვენ გვინდა ზოგჯერ ძალიან სწრაფად მივიღოთ ის, რასაც სჭირდება დრო. ეს პირველ რიგში შეეხება სამუშაო ადგილებს და ეკონომიკას. საუბედურო, ეს ვერ მოხდება ისე სწრაფად, როგორი სურვილიც ჩვენ გვაქვს, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ“.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქვეყანაში ზოგადად კარგი პროცესი მიდის და საზოგადოების აქტიურობაც ძალიან მოსწონს. მისი თქმით, ის ფიქრობს, რომ ნაკლია ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში გადაჭარბებული ემოციურობა, ხმაური და „ხარისხიანი კონტროლის“ ნაკლებობაა.

„ჩემი აზრით ისევ ოპოზიციის, ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“, არაპროფესიონალიზმი და უპასუხისმგებლობა, იწვევს ამ ნაკლს. ხელისუფლების კონტროლში დიდი როლი აქვს ოპოზიციას. ამ მხრივ საუბედუროდ ოპოზიცია ძალიან ცუდად ასრულებს საკუთარ ფუნქციას. მათი გაუაზრებელი ყვირილი ყველაფერზე, თეთრის შავად წარმოჩენა, ეს რა თქმა უნდა, პოლემიკის ხარისხს დაბლა სწევს. ოპონირება საჭიროა, მაგრამ არა ისე, რასაც ისინი აკეთებენ. როგორც ჩანს ისინი მეტს ვეღარ შეძლებენ, მაგრამ წამოვლენ ახალი ძალები და უფრო განვითარდებით“, — დასძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, „მოქალაქე“ ითანამშრომლებს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს შესატყვისი კვალიფიციური ეთიკა, მაღალი ევროპული სტანდარტები და ხელს უწყობს ქვეყნის ევროპული სივრცისკენ სვლას.

ბიძინა ივანიშვილი 90 %-იანი ალბათობით, 5-6 წელიწადში საქართველოს ეკონომიკის გაორმაგებას ვარაუდობს: „თუ ყველაფერი განვითარდა საუკეთესოდ, ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე უნდა „დავჯდეთ“. ასეთ შემთხვევაში, 5-6 წელიწადში შეიძლება მოხდეს ეკონომიკის გაორმაგება“.

„ჩვენ სწორი ნიადაგი გავამზადეთ ამისთვის. საოცრებებს ვერ მოახდენ ხომ? მაგრამ თუ იქნება ეკონომიკური სტაბილურობა, სწორად დაწერილი კანონები (და სხვათა შორის, არჩილ კბილაშვილის ერთ-ერთი იდეაა, რომ დააჩქაროს პროცესი ჩვენი კანონმდებლობის ლონდონის კანონმდებლობასთან დაახლოების) და კანონებთან სწორი დამოკიდებულება, ანუ ბიზნესი იქნება ხელუხლებელი (რაც უკვე გაკეთებულია), 90 %-იანი ალბათობით, ასე მოხდება. 25 %-ის ალბათობით შეიძლება მეორე დუბაი მივიღოთ საქართველოში და 25 % არც ისე ცოტაა. თუ ყველაფერი იდეალურად მოვიდა თანხვედრაში, საქართველოში შეიძლება მოხდეს ეკონომიკის საოცარი ბუმი. ამის პირობები არსებობს, მათ შორის გვაქვს საოცარი მდებარეობა“, — აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

> „ჩემი პრემიერობის პროცესში საწვავზე გარკვეული ფასის დაკლება მოხდა, პრემიერობის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტთანაც მომიწია ამ საკითხზე ურთიერთობა, რამეთუ ტრანზიტული ფუნქცია, რაც საქართველოს გააჩნია, ბოლომდე უნდა აღდგეს — ეს ფუნქცია იყო ლამის ნულამდე მიყვანილი, რადგან 10 %-იც აღარ მოდიოდა იმ ტვირთების, რაც უნდა გადმოსულიყო. იქ სხვადასხვა ტიპის მორიგეგები იყო, თუმცა, არ მინდა გავშალო ეს საკითხი. ჩვენ, ორი ქვეყნის მეთაური შევთანხმდით, რომ ეს სატრანზიტო ფუნქცია ორივე სახელმწიფოსთვის საინტერესოა“

თუ სწორ ქმედებებს განვახორციელებთ, ევროკავშირშიც შევალთ და რუსეთთანაც დავალაგებთ ურთიერთობას; ნურავის გონია, რომ ეს არის შეუძლებელი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, ოლიმპიადაში მონაწილეობა კარგი საშუალებაა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისთვის.

* * *

ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ვერ ვისწავლეთ ხელისუფლების დაქირავება, — თქვა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ხალხმა არ იცოდა, როგორ აერჩია და როგორ ეკონტროლებინა ხელისუფლება.

„სწორედ ეს იყო მიზეზი, 20-წლიან მოჯადოებულ წრეზე სიარულის. ამ პრობლემას კარგად ვიცნობდი და მოსვლის პირველივე დღიდან ამაზე ვაკეთებდი აქცენტს. ჩვენ კარგად უნდა ვისწავლოთ, როგორ ვიქირავოთ ხელისუფლება. პირველ რიგში ჩვენ კარგად უნდა ვისწავლოთ, ვინ უნდა ავირჩიოთ და რატომ. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ადამიანს თუ საკუთარი პარტია ვერ დაუფუძნებია და ქვეყნის აშენებას გვპირდება, ოქროს კოშკებს გვიხატავს, ამ დროს ცხოვრებაში არაფერი არ შეუქმნია და მის ბიოგრაფიას თუ გადახედავ, ხელმოცარული იყო უმეტესად, რა ლამაზი სიტყვებითაც არ უნდა გვესაუბრებოდნენ, ჩვენ უნდა შევძლოთ სწორი არჩევანის გაკეთება“.

მისივე თქმით, არ უნდა „ვეძებოთ მუდამ“ უმწიკვლო ადამიანი. „შეიძლება არ იყოს დიმიტრი გელოვანი, შეიძლება ჰქონდეს ნაკლი, მაგრამ არსებული რეალობიდან უნდა გავაკეთოთ ღირსეული არჩევანი. არც ის ვარგა, რომ განაწყენებულები არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ვამბობთ. ამ დროს უარესი არჩევანი დგება.

მინისტრებსა და მოადგილეებს, საზოგადოების რეაქციის გათვალისწინებით, აღარ მგონია, ძვირადღირებული „ჯიპების“ შეძენის სურვილი გაუჩნდეთ , — ამის შესახებ ხაზგასმის თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

„საზოგადოება ხელისუფლებას ეუბნება, იმიტომ არ გიქირავე, რომ 160 ათასი „ჯიპში“ გადაიხადო მაშინ, როდესაც მე ძლივს დავდივარ და სახლში წვიმა ჩამომდის. ეს არის ზუსტად ის, რაც ჩვენ გვინდა, ჯანსაღი და სწორი რეაქცია“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მინისტრების ხელფასებს, ივანიშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრობისას ჰქონდა სურვილი, „გაუგებარი პრემიების“ გაცემის პროცესი დასრულებულიყო.

„მაგრამ იყო ხიფათი იმისა, რომ საზოგადოება ხელფასების გაზრდას სათანადოდ ვერ გაიგებდა და ახლა ამას ეძლევა ჯანსაღი სახე. 5 ათასის ნაცვლად უფრო ჯანსაღი და მორალურად ლამაზი თანხა იქნებოდა 4900 ლარი, მე ასეთი დავტოვე, მაგრამ ირაკლიმ ასე მოისურვა. ირაკლის შექების მომენტიც დამიდგა და შემიძლია ვთქვა, რომ ისე კარგად უძღვება მთავრობას, მეც გამაოცა. გასაგებია, რომ რეგიონებში შემოსავალი მწირია და ამ ფონზე მინისტრის 5 ათასი ლარი შესაძლოა, იწვევდეს უხერხულობას, მაგრამ უნდა გადაამოწმოთ ბიზნესის სფერო, ფასები და ისიც, რომ მინისტრი უნდა იყოს მაღალი პროფესიონალი. მაგალითად, კვირიკაშვილი თავის დროზე ძლივს დავითანხმე. ის ძალიან წესიერი კაცია. მითხრა, მირჩევნია თუ „ქართუ ბანკში“ დავბრუნდებიო, იქ უფრო მეტი ხელფასი მაქვს და მირჩევნია, რადგან იპოთეკა მაქვსო. ეს უნდა გავითვალისწინოთ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის თქმით, დასაშვებია, მინისტრებს ფუფუნება აეკრძალოთ, თუმცა, არსებული ანაზღაურება ნორმალურია. ბიძინა ივანიშვილმა მაგალითად ევროპა დაასახელა, სადაც მისი თქმით, მინისტრის საშუალო ხელფასი 3 ათასი ევროა.

◎ კაკალ გულში

ფერტილოვანი ფრაზები

● ხეებში ჩამდგარი წყლის გამრიცხველიანება როდის იწყება?

● სამართალმა კრუასანი ჭამა.

● კეზერაშვილი თავისუფალია, ვანო ნინოს მადლობას უხდის. წავედი მე უნდა აღვნიშნო. აბა, თქვენ იცით. სულ კარგად ბრძანდებოდეთ!

● საფრანგეთმა კეზერა თუ არ გადმოგვცა და ჩვენ თუ თავმოყვარეობის ნასახი დაგვრჩა, ჩვენს ტერიტორიაზე შემოსული არც ერთი საფრანგეთის მიერ ძებნილი არ უნდა გადავცეთ! მთლად რომ ეიფელის აფეთქებას ედავებოდნენ!

● ქეთი კვაჭანტირაძემ და თამარ ბაღაშვილმა (რ-2) ისე განიცადეს კე-

ზერაშვილის განთავისუფლება, რომ სიხარულისაგან ხმა უკანკალებდათ და ნეტავ რატომ, — ნათესავები არიან?

● ოცნებაააა კიდევ ერთჯერ ოცით ნოლი, ღნაცების სასარგებლოდ. ივჯექით ახლა და ნაყეთ წყალი!

● ქართველებს ღირსება მაშინ გვახსენდება, როდესაც ჯარიმები, გადასახადები გვიორმაგდება, შვილების სწავლის საფასურს, მკურნალობის ფულს ან კრედიტის პროცენტებს ვერ ვიხდით.

ამავე დროს როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესს ან საერთო კეთილდღეობას ეხება, ჩუმად ვართ და ყველა უკეთურებას ვითმენთ, სანამ ურემი არ გადაბრუნდება.

იქნებ დადგეს სხვა დრო?!

● პროკურატურავ, ასეთი „პროფესიონალი“ ვინ გაუშვი საფრანგეთის სასამართლოს წინაშე მიშას ხაზინადარის ბრალეულობის წარსადგენდასამტკიცებლად, რომ კეზერა გარეთაც გამოუშვეს, თან „ოქროს“ სამაჯურიც შეაბეს და ლამის თავად მისი ქართველი ბრალმდებელი — ვინმე დონდოლაძე დასვეს მის ადგილას?

ეგ დონდოლაძე კი არა, ვიღაც დონდლო ყოფილა...

დედა, მთელ დუნიაზე მოჭრა თავი ქართულ იურისპრუდენციას!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

„დაუბრუნეთ საქართველოს მოპარული ბიუჯეტი“ - ჯერ თარგამაძე და უგულავა... ვინ იქნება შემდეგი?

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის სახლის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდულმა ცენტრმა„“ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ, რომ ხალხს, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ქონება ჩამოერთვათ, უკან დაუბრუნდეთ.

აქციის მონაწილეებმა გივი თარგამაძის სახლის წინ გააკრეს ბანერი წარწერით: „დაუბრუნეთ საქართველოს მოპარული ბიუჯეტი“. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზურაბ ქადაგიძემ განაცხადა, ორგანიზაციამ ინიციატივა გამოთქვა, დაიწყოს კამპანია — დაუბრუნდეს საქართველოს ხალხს ბიუჯეტი.

„არასამთავრობო ორგანიზაციამ ინიციატივა გამოთქვა, რომ დაიწყოს კამპანია, დაუბრუნდეს საქართველოს ბიუჯეტი ხალხს, დაუბრუნონ ის წართმეული თანხები, რომელიც გივი თარგამაძემ, მიხეილ მაჭავარიანმა, დავით ბაქრაძემ, გიგი უგულავამ, თავიანთ ნათესავებზე გადაფორმებულ კომპანიებში დააბანდეს. ჩვენი შემდეგი მოთხოვნა არის, რომ დაზარალებულ ადამიანებს, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს კერძო საკუთრება ჩამოერთვათ, აუცილებლად დაუბრუნდეთ, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური ღირებულება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა იყოს ხელშეუხებელი საქართველოში, — აღნიშნა ზურაბ ქადაგიძემ. გუშინვე მსგავსი აქცია ჩაატარეს უგულავას სახლთან.

როგორც სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი ცინცაძემ განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ ხალხის ქონებას ისაკუთრებდა.

— ჩვენ შევიკრიბეთ გიგი უგულავას სახლთან, რომელიც მაღალი თანამდებობის პირი იყო. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ხალხს ართმევდნენ ქონებას, ისაკუთრებდნენ კერძო ბიზნესებს და თვითონ აურაცხელი, ძალიან დიდი მოგებები ჰქონდათ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ქონება ხალხს დაუბრუნდეს, — განაცხადა გიორგი ცინცაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ასეთი აქციები „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა წევრების სახლებთან მოეწყობა.

◎ განსჯა

ის იგივეა მარად და მარად!

ანუ ახალი „რეაქცია“, ძველი ინგას რებრედინგი თუ დასაჭურისებული ნაცების პოლიტ-ერექციის მცდელობა?

მოდით ჯერ ის დრო გავიხსენოთ, როდესაც პატარა ინგა გრიგოლიას ჩემს საყვარელ, პურმარილით განთქმულ სამტრედიაში მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო დღევანდელ რეალობაზე, როცა მისი ხმის მაღალი რეგისტრი გადაფარავდა ქართულ ტელესივრცეს და „სამტრედიელი კონკია“ ტელევიზიის კაშკაშა ვარსკვლავად აეთვებოდა.

ყველა გზა რომში მიდისო, ნათქვამია. სადღეისოდ ძველმა ვექტორმა, ალბათ, ვაშინგტონ-ნიუ იორკისკენ გადაინაცვლა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს პოლიტიკურ-ფინანსური ცენტრი რომ აშშ-ია, უდავო ფაქტია!

საქართველოს ერთი მთავარი სარკინიგზო, ზოგადად სატრანსპორტო კვანძი რომ სამტრედიაა, არც ამაზე დავობენ. ანუ, ინგას სამშობლოდან გზა ყველგან მიდის, მაგრამ ყველა ქართველისთვის ჯერ თბილისია ბედის საძებნელი ალაგი. არ ვიცი, დედაქალაქში ჩამოსულმა პატარა ინგა გრიგოლიამ ვინმეს პროტეჟეობით დაიწყო ჟურნალისტური კარიერა, თუ მხოლოდ საკუთარი მომხიბვლელობის გამო, მაგრამ პირველი არხიდან რომ დაგვამახსოვრა თავი, ეს ნამდვილად ვიცი.

მაშინ ზაზა შენგელიას ტელევიზია, რომ იტყვიან, თავფეხიანად შეჩენების წინ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისათვის დემოკრატიულობის ანტურაჟის შექმნა და მალევე დაიხურა. თუმცა „კონკია“ დიდხანს არ ყოფილა უსაქმოდ და მოკლე ხანში (ეს მერამდენედ) ახალი ტელევიზიის თოქ-შოუს წამყვანად მოგვევლინა. მგონი ისევ მშობლიური 1 არხის, თუ არ ვცდები – „კვირის პოლიტიკა“ ერქვა. „მგონი“ და „თუ არ ვცდები“, იმიტომ, რომ ვინმე დათვლის ან თავად ინგას ახსოვს, რამდენი ტელევიზია აქვს გამოცვლილ-დაგემოვნებული „საქართველოს ჟურნალისტიკის პრიმადონას“?

2009 წლის 10 მაისის გადაცემაში, ინგას „პროფესიონალიზმ-ობიექტურობაში“ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც 6 მაისის სისხლიან გიორგობაზე მეტი დრო ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობის დროინდელ „ბაღში კენჭების სროლას“ დაუთმო და თანაც მერამდენედ...

ქალბატონ ნინოს ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ მან, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე გაიარა და საკანი № 5-ის სტუმრობიდან, 9 აპრილის ობსტრუქციის გავლით, ოპოზიციის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ლიდერად იქცა. ბურჯანაძემ ყველას დაანახვა, რომ ფოლადის ნერვების მქონე ძლიერი პიროვნებაა და, როგორც მინიმუმ, მის მიმართ არსებული სამართლიანი კითხვების დასმამ პოსტ-სააკაშვილის დროისთვის გადაიწია. ასეთი მოცემულობის პირობებში ვის აძლევდა ხელს, ვის წისქვილზე მიუშვა წყალი პროფესიონალიზმით, ობიექტურობით შენიღბულმა „კენჭების სროლამ“?..

თუმცა, კენჭებს ვინღა დაეძებს. სტუდიიდან გასულ ნინო ბურჯანაძე, ინგა გრიგოლიამ მის დაუსწრებლად, უკვე მიშა მაჭავარიანთან საუბრისას, იმხელა ქვა ესროლა ზურგში, რომ 6 მაისის გიორგობა ღამეს ქვასროლია (ტყვიებისაც) სპეცრაზმს შეშურდებოდა – „სირცხვილის კორიდორებში ჯერ თვითონ გაიარონო“...

ზემოთ „უცნობის“ საკანი №5 ვახსენე და იმჯერად ისევ „მშობლიური“ 1 არხის თოქ-შოუს წამყვანის სტატუსით „სამტრედიელი კონკია“ იქაც ვიხილეთ – საიდან არ მოუარა, რა აღარ სცადა „უცნობმა“, მაგრამ ვერ დააცდენინა, 9 აპრილის აქციებით მოცულ საკნების ქალაქ თბილისში, ვის ან რის მხარეს იყო ეს უდავოდ ნიჭიერი კონფორმისტი ქალბატონი.

უფრო მეტიც – ქვეყანაც რომ დაინგრეს, მიტინგზე ჩემი ფეხი არ იქნებაო. მიტინგი კი არა, სულ მალე გიორგი ვარდნაძის რეჟიმის სამსახურში იყო. არც თოქ-შოუების ნაკლებობას განიცდიდა. და სწორედ ერთ ასეთ საღამოს მაშინ ახლად გაოპოზიციონერებულმა ელდარ შენგელაიამ შევარდნაძის ჯიბის ტელევიზია უწოდა პირველ არხს. 2001 წელი იყო, როდესაც, გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ, სპეცრაზმმა სცადა „რუსთავი-2“-ში შეჭრა, რამაც ლამის მთელი ქალაქი ქუჩაში გამოიყვანა იმ დროს მართლაც ხალხის საყვარელი ტელევიზიის დასაცავად.

იმ აქციების დროს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გადადგა იმ პირობით, რომ შსს მინისტრი კახა თარგამაძე და იმ დროისთვის ახლადდანიშნული გენპროკურორი გია მეფარიშვილიც იგივეს იზამდნენ. ასეც მოხდა იმ საღამოს, როცა პირდაპირი ეთერი მგონი ეკა ბერიძეს მიჰყავდა და ინგა, რომელიც, ალბათ, თავის კაბინეტში უყურებდა ყველაფერს, მოულოდნელად შეიჭრა სტუდიაში და, როგორ თუ ჯიბის ტელევიზიაო, პირდაპირი ეთერიდან მოსთხოვა უკვე გადამდგარ რკინის მინისტრს და გენპროკურორს, სასწრაფოდ გამოცხადდით სტუდიაშიო...

ორივე რამდენიმე წუთში გამოცხადდა და პირდაპირ ეთერში დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა.

ალბათ ამის შემდეგ მიხვდა ზაზა შენგელია (ან ზემოდან მიახვედრეს), რომ გადაამლაშეს ინგამ და კომპანიამ და პირდაპირი ეთერი საქართველოს ლამაზი ხედების ჩვენებით ჩაანაცვლეს, რადგან ის „საპროტესტო აქცია“ ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი. რა იყო ინგა გრიგოლიას მიერ საზოგადოების თვალში ოდიოზი კახა თარგამაძის და გია მეფარიშვილის (დღევანდელი გადასახედიდან ორივენი, როგორც მინიმუმ, კარგი ქართველები) პირდაპირ ეთერში დაცვა, თუ არა შეგნებულად თუ შეუგნებლად ცეცხლზე ნავთის დასხმა? ყოველ შემთხვევაში იმ პროფესიონალიზმთან, რითაც ადგილ-უადგილოდ ყელყელაობს ინგა გრიგოლია, საერთო რომ არაფერი აქვს, ალბათ, ცხადია.

ასე იყო თუ ისე, მიშა სააკაშვილის მიერ მოტყუებული ხალხის წყალობით შევარდნაძის რეჟიმი (მეფარიშვილ-თარგამაძის არ იყოს, 9-წლიანი ნაცჯოჯოხეთის შემდეგ, რეჟიმი უწოდო შევარდნაძეს, ესეც უხერხულია) დაემხო და ინგას კარიერული აღმასვლაც დროებით შეფერხდა. დიახ, დროებით, რადგან „კონკიას“ ისევ გაუღიმა ბედმა და ბადრი პატარკაციშვილის „იმედში“ ამოყვინთა, სადაც ამჯერად ოპოზიციურ ფლანგზე მოგვევლინა და 2007 წლის 7 ნოემბრამდე ანტინაციური ტელედებატებით გვაბოლებდა. სინამდვილეში კი...

მხოლოდ „იმედის“ დარბევის შემდეგ „აღმოაჩინა პროფესიონალმა ჟურნალისტმა“, რომ, (საკანი №5) მისივე სიტყვებით, ბინძურ თამაშებში ყოფილა ჩათრეული?! მანამდე კი „ბინძური თამაშების“ ავტორი, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი, წველეს და წველეს. ინგამ (გახსოვთ, ალბათ, მაშინ თბილისში მოარული ჭორ-მართალი ინგას და მიშას პიკანტური ინციდენტის შესახებ, რაც ბადრის გვარიანი თანხა დაუჯდაო) და „გალსტუკიანმა ხვლიკმა“ გიორგი თარგამაძემ და შემდეგ ორივემ ერთად უღალატა საწყალ ბადრის!

შემდეგ, ისევ მცირე „შემოქმედებითი“ პაუზა და „რუსთავი-2“-ის ეთერში ინგას მორიგი თოქ-შოუ „რეაქცია“, გამოჩნდა რაც იმის დაპირებით დაიწყო, რომ მიშა სააკაშვილს მიიწვევდა პირდაპირ ეთერში და „გატისკავდა“. როგორც შეასრულა დანაპირები, ყველამ ვნახეთ – სადღაც უკვალოდ გაქრა ინგას მჭახე ყვირილი და ხელში ისევ იმბეცილი პრეზიდენტის გაჯეჯილება შეგვრჩა, რაც „რეაქციაში“ აღებული ზღაპრული ჰონორარების ბრალი იყოო, ამბობენ...

იმ „რეაქციამ“ (იგივე ინგა გრიგოლიამ) შეასრულა თავისი ნამდვილი მიზანი – 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისათვის დემოკრატიულობის ანტურაჟის შექმნა და მალევე დაიხურა. თუმცა „კონკია“ დიდხანს არ ყოფილა უსაქმოდ და მოკლე ხანში (ეს მერამდენედ) ახალი ტელევიზიის თოქ-შოუს წამყვანად მოგვევლინა. მგონი ისევ მშობლიური 1 არხის, თუ არ ვცდები – „კვირის პოლიტიკა“ ერქვა. „მგონი“ და „თუ არ ვცდები“, იმიტომ, რომ ვინმე დათვლის ან თავად ინგას ახსოვს, რამდენი ტელევიზია აქვს გამოცვლილ-დაგემოვნებული „საქართველოს ჟურნალისტიკის პრიმადონას“?

2009 წლის 10 მაისის გადაცემაში, ინგას „პროფესიონალიზმ-ობიექტურობაში“ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც 6 მაისის სისხლიან გიორგობაზე მეტი დრო ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობის დროინდელ „ბაღში კენჭების სროლას“ დაუთმო და თანაც მერამდენედ...

ქალბატონ ნინოს ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ მან, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე გაიარა და საკანი № 5-ის სტუმრობიდან, 9 აპრილის ობსტრუქციის გავლით, ოპოზიციის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ლიდერად იქცა. ბურჯანაძემ ყველას დაანახვა, რომ ფოლადის ნერვების მქონე ძლიერი პიროვნებაა და, როგორც მინიმუმ, მის მიმართ არსებული სამართლიანი კითხვების დასმამ პოსტ-სააკაშვილის დროისთვის გადაიწია. ასეთი მოცემულობის პირობებში ვის აძლევდა ხელს, ვის წისქვილზე მიუშვა წყალი პროფესიონალიზმით, ობიექტურობით შენიღბულმა „კენჭების სროლამ“?..

თუმცა, კენჭებს ვინღა დაეძებს. სტუდიიდან გასულ ნინო ბურჯანაძე, ინგა გრიგოლიამ მის დაუსწრებლად, უკვე მიშა მაჭავარიანთან საუბრისას, იმხელა ქვა ესროლა ზურგში, რომ 6 მაისის გიორგობა ღამეს ქვასროლია (ტყვიებისაც) სპეცრაზმს შეშურდებოდა – „სირცხვილის კორიდორებში ჯერ თვითონ გაიარონო“...

ზემოთ „უცნობის“ საკანი №5 ვახსენე და იმჯერად ისევ „მშობლიური“ 1 არხის თოქ-შოუს წამყვანის სტატუსით „სამტრედიელი კონკია“ იქაც ვიხილეთ – საიდან არ მოუარა, რა აღარ სცადა „უცნობმა“, მაგრამ ვერ დააცდენინა, 9 აპრილის აქციებით მოცულ საკნების ქალაქ თბილისში, ვის ან რის მხარეს იყო ეს უდავოდ ნიჭიერი კონფორმისტი ქალბატონი.

უფრო მეტიც – ქვეყანაც რომ დაინგრეს, მიტინგზე ჩემი ფეხი არ იქნებაო. მიტინგი კი არა, სულ მალე გიორგი თარგამაძის ქდმ-ს დეპუტატად მოგვევლინა თბილისის საკრებულოში და გახსოვთ, ალბათ, ენაკვიმატი თბილისელების მიერ ქდმ-ს წინა საარჩევნო სლოგანის გაბიაბრუებული ვარიანტი – „გაზი 10 თეთრი, დენი 5 თეთრი და ინგა გრიგოლია უფასოდ!“

დღესაც იქ, თუმცა იქ რატომ, უკვე პარლამენტში იჯდებოდა „ხვლიკის ოპოზიციურ ფრაქციაში“, რომ არა ბიძინა ივანიშვილი!

თუმცა, არც ალღო ღალატობს „კონკიას“ და დროზე თქვა უარი გლდანის მაჟორიტარობაზე, რითიც შედარებით უდანაკარგოდ გამოვიდა, ახლა თავად რომ უწოდებს, ბინძური პოლიტიკიდან და ისევ უმწიკვლო ჟურნალისტობას დაუბრუნდა!

ჯერ ყოფილი რეალTV-დან დაგვკივლა, სადაც პედერასტების ისტერიული დაცვით და სამღვდელოების (წაიკითხე, ეკლესიის) ტაბურეტების განქიქებით დაგვამახსოვრა თავი და ახლა რაოდენ სამწუხაროა, რომ ერთ დროს ეროვნული ტელევიზია, ბადრი პატარკაციშვილის „იმედი“ მისცეს ინგას ასპარეზად. „იმედი“, რომელიც ცხონებული ბადრის მოღალატეების სიმცირეს არ უჩივის და შესაბამისად ნეოლიბერალური (ხლისტების) ფასეულობების პროპაგანდის ავანგარდში მოიაზრება!

ინგას დამსახურებაა, რომ მის პირველ „რეაქციაში“ ქართველ საზოგადოებას ეს მერამდენედ გვაფურთხეს სულში გიგა ბოკერიამ და „თავისუფალი ზონის“ ნაბიჭვრებმა, რომლებიც „ინგას არ მიუწვევია“, მაგრამ პირდაპირ ეთერში ორი გვამის მომთხოვნი ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერი პლაკატი აგვიკრეს მთელს საქართველოს!

ამ ყველაფერს კი ზურაბ აბაშიძემ – დემოკრატიამ უნდა აიტანოსო?! თუ ასეა, თუ სულში ფურთხებაც დემოკრატიაა, მაშინ „კჩორტუ“ ასეთი დემოკრატია...

დავით მხეიძე.

P. S. ღმერთო იმ დროს მომასწარი, რომ ინგას ყვირილი არ მესმოდეს ტელევიზიებიდან და პარლამენტში ნაციონალ-რეს-პუბლიკელების დეპუტაციას არ ვხედავდე! საამისოდ კი, როგორც ჩანს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია საჭირო.

და კიდევ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს მივმართავ: ნუთუ ვერ ხედავთ, რას დაამსგავსეს ბადრის შვილობილი ტელევიზია? დიახ, შვილობილი, რადგან ცხონებულისთვის „იმედი“ მხოლოდ ტელევიზია არ იყო და ამიტომ თავად ჰქონდა ნათქვამი – „იმედი“ არ იყიდება!

დ. მ.

◎ ვითარება

„ცოტაც მოითმინეთო! როდემდე?!“

„ყაზტრანსგაზის“ წინაალმდეგ 6 თებერვალს აქცია იგეგმება

თბილისის გმირ კურსანტთა ქუჩა 22-ის მცხოვრებნი „ყაზტრანსგაზის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. კორპუსში მცხოვრები 300-მდე ოჯახი კომპანიას გაზიფიცირების სამუშაოების ხელოვნურად გაჭიანურებაში ადანაშაულებს. ადგილობრივები ჰყვებიან, რომ წლებია, მათ კორპუსში ბუნებრივი აირის გაყვანა იგეგმება, მაგრამ კონკრეტული სამუშაოები დღემდე არ დაწყებულა.

აღნიშნულ მისამართზე გაზიფიცირების სამუშაოებისთვის გლდანის გამგეობას 20 ათასი ლარი უკვე გამოყოფილი აქვს და „ყაზტრანსგაზს“ გამგეობიდან თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით საგარანტიო წერილიც გაეგზავნა. თუმცა, ამ დრომდე უცნობია, როდის გადაწყვეტს კომპანია სამონტაჟო სამუშაოების დაწყებას.

„რამდენჯერმე მივაკითხეთ „ყაზტრანსგაზს“. ბოლოს რომ ვიყავით, კიდევ ერთი ვადა დავუთქვით. თუ 5 თებერვლამდე არ გაგვიფორმებენ ხელშეკრულებას და სამონტაჟო სამუშაოებს არ დაიწყებენ, 6 თებერვალს კომპანიაში მივდივართ, გზას ვკეტავთ და „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებს სამუშაოკაბინეტებში შესვლის შესაძლებლობას არ მივცემთ“, – უთხრა for.ge-ს ადგილობრივმა მცხოვრებმა მარინა დემურიშვილმა, რომელიც კორპუსში გაზიფიცირების საკითხის მოგვარების მიზნით შექმნილი დროებითი ამხანაგობის თანათავმჯდომარეა.

ადგილობრივები ეჭვობენ, რომ „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები კორპუსში სამუშაოების დაწყებას იმის გამოც აფერხებენ, რომ შესაბამის თანხას გამგეობა იხდის და გადარიცხვა გარკვეულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. მათი მტკიცებით, კომპანიას, უწინარესად იმ შეკვეთების შესრულება ურჩევნია, სადაც ნაღდ ფულს უხდიან.

„ამდენ ხანს თუ ითმენდით, ცოტა ხანსაც მოითმინეთ, თქვენს გარდა 15 ობიექტი გვაქვს და ჯერ სხვები უნდა დავასრულოთო, გვეუბნებიან „ყაზტრანსგაზში“. შეუძლებელია კიდევ მოთმენა. „თელასიც“ ჩაგვიდგა ჯიბრში, დავალიანებას თუ დროულად ვერ გადავიხდით, შუქს თიშავენ – 18 თეთრს ვიხდით ერთ კილოვატ ელექტროენერგიაზე. ზამთრის ცივ დღეებში გათბობის ალტერნატიული საშუალება რომ არ გვაქვს, ბევრ ელექტროენერგიას მოვიხმართ. სადაც გაზი არ არის, შეღავათი მაინც დაგვიწესონ“, – აცხადებენ გმირ კურსანტთა ქუჩა 22-ის მცხოვრებლები.

კორპუსში გაზიფიცირების პრობლემის მოგვარების საკითხში ჩართულია გლდანის გამგეობის მთავარი სპეციალისტიც. მიშა კაკაურიძე დროებითი შექმნილი ამხანაგობის ერთ-ერთი თანათავმჯდომარეა.

„გამგეობამ კომპანიას უკვე მიმართა წერილობით – ანუ სამუშაოების შესრულების შემდეგ „ყაზტრანსგაზი“ შესაბამის თანხას მიიღებს. ადგილობრივ მცხოვრებთა მატერიალური სიდუხჭირიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროექტს გამგეობა აფინანსებს. თუმცა, კომპანია სამუშაოების დაწყებას აჭიანურებს – ბევრი შეკვეთა გვაქვს და რიგითობით შევასრულებთო“, – განაცხადა for.ge-სთან საუბარში მიშა კაკაურიძემ.

მოსახლეობის პრეტენზიებთან დაკავშირებით, for.ge „ყაზტრანსგაზს“ დღის განმავლობაში რამდენჯერმე დაუკავშირდა. კომპანიის სამონტაჟო სამსახურის ხელმძღვანელმა ედიშერ ხორავამ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. ჟურნალისტებისთვის მთელი დღის განმავლობაში მიუწვდომელი იყო „ყაზტრანსგაზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ეკა სარიაც.

ელენე აბესაძე

◎ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა

ნაბიჯ-ნაბიჯ კი ვიაროთ, მაგრამ ფეხს ავუჩქაროთ!..

ძვეშნის ეკონომიკის განვითარებისთვის, ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დასამკვიდრებლად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამკვიდრება რომაა, ამის თაობაზე არაერთი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციაშია ლაპარაკი წლების მანძილზე. ამასვე ხაზგასმით აღნიშნავენ სამამულო ექსპერტები, პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი მოღვაწეები, საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ მონოპოლიების პრობლემა როგორც იყო ბოლო ათწლეულებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზაზე სერიოზული დაბრკოლება, ასეთად რჩება დღესდღეობითაც.

გავრცელებული ინფორმაციით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პროექტზე მუშაობა კარგა ხნის დასრულებულია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ იგი თითქოს მთავრობასაც წარუდგინა და 2013 წლის ჯერ შემოდგომაზე, შემდგომ კი დეკემბრის მიწურულს პარლამენტს თითქოს დაჩქარებული წესით უნდა განეხილა კიდეც, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ვადამ კიდევ ერთხელ, ამჯერად აპრილამდე გადაიწია.

საქართველოს შიდა ბაზარზე ზოგიერთ სეგმენტში კონკურენციის მწვავე დეფიციტს თვალნათლივ სტატისტიკური მონაცემები მოწმობს. **2012 წლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანაში ბიზნეს-სექტორის მთლიანი ბრუნვა 42 მილიარდს შეადგენდა, საიდანაც ლომის წილი, კერძოდ, 33,6 მილიარდი ლარი (80 პროცენტი) მსხვილ კომპანიებზე მოდის. ამასთან, ნაწარმოები პროდუქციის 83 პროცენტი და დამატებული ღირებულების 80 პროცენტი მათივე შექმნილია.**

თავისთავად ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი როლი დიდ კომპანიებს უკავიათ და როგორც საშუალო, ასევე, მით უმეტეს, წვრილ კომპანიებზე, ერთად აღებულზე, მეტ პროდუქციას უშვებენ, არც გასაკვირია არაფერი, არც ცუდია. ასეთი ვითარებაა ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სადაც მსხვილ კომპანიებს როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ასევე მის ცალკეულ სეგმენტში სამეთაურო პოზიციები უკავიათ. **ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დანიშნულება, ანტიმონოპოლიური რეგულირების არსი კი დიდი კომპანიების მიერ საკუთარი წამყვანი პოზიციების ბოროტად გამოყენების პრევენციაა.**

გარდა ამისა, საშუალო და მცირე მეწარმე სუბიექტებისა და ექსპერტების შეშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე, ნაცმოძრაობის ლიდერთა საჯარო მტკიცებათა საპირისპიროდ– აქაოდა ქვეყანაში მცირე ბიზნესზე დღენიადაგ ვზრუნავთ და ამ ზრუნვის შედეგი მისი გაფურჩქვნა არისო – **საშუალო და მცირე ბიზნესის წილი მთლიანი სამეწარმეო მოცულობის 32 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდა და ეს სამწუხარო ტენდენცია კვლავაც გრძელდება, თუმცა კი 2010-იანი წლების მიწურულსა და დასაწყისში იგი მართალია მცირედით, მაგრამ მაინც იზრდებოდა.** ბაზარი კი, ისევე, როგორც დედაბუნება, სიცარიელეს ვერ იტანს, ამიტომაც საშუალო და მცირე ბიზნესის გამოთავისუფლებულ ნიშებს უმალ მსხვილი ბიზნესი იკავებს.

ამასთან, მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ კანონმდებლობის არსებობა, რაოდენ დახვეწილიც უნდა იყოს იგი, თავისთავად წესრიგის დამყარებას ამა თუ იმ სფეროში ვერ უზრუნველყოფს, თუკი მის შესრულებაზე მოქნილმა და ქმედუნარიანმა სტრუქტურამ არ იზრუნა. ასეთი ორგანო, როგორც ვიცით, საქართველოში კონკურენციის სააგენტო იქნება, რომელიც რეალურად თითქოს შარშან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცესის დაწყება აპრილამდეა გადავადებული.

უნდა ითქვას, რომ ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები თავისუფალი კონკურენციის შემლახავ მოქმედებებს შეეხება, რომელ სფეროშიც გნებავთ იყოს ისინი ჩადენილი. პროექტის თანახმად, კანონი ყველა დარგსა და ნებისმიერი პირის მოქმედებაზე (მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც!) გავრცელდება, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა საქართველოს საქონლო და მომსახურების ბაზრებზე არსებულ კონკურენციაზე. კანონპროექტის ავტორებს, კერძოდ, მხედველობაში აქვთ სუბიექტის ისეთი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, ან იწვევს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან აღკვეთას. კანონპროექტით განსაზღვრულია ის სფეროებიც, რომლებზეც კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ესენია, კერძოდ, **შრომითი ურთიერთობები და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ურთიერთობები, თუკი ისინი ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე არ მოქმედებენ, ანდა არ ზღუდავენ მას. ახალი კანონის მოქმედება დარგობრივი რეგულირების სფეროებზეც გავრცელდება.**

აღნიშნული კანონპროექტით იცვლება და ევროკავშირის სტანდარტებს მიესადაგება კონკურენციის მცირედად შემზღუდველი ხელშეკრულების განმსაზღვრელი კრიტერიუმებიც. კერძოდ, **კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ ხელშეკრულებად განისაზღვრება ისეთი ჰორიზონტული ხელშეკრულება, რომლის მხარეთა ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე 10 პროცენტს არ აღემატება; ვერტიკალური ხელშეკრულება, რომლის თითოეული მხარის წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 15 პროცენტს; ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს როგორც ჰორიზონტული, ასევე ვერტიკალური ხელშეკრულებების მახასიათებლებს და რომლის თითოეული მხარის წილი შესაბამის ბაზარზე 10 პროცენტს არ აღემატება.**

კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად გათვალისწინებულია დამოუკიდებელი და მიუკერძოებული სააგენტოს შექმნა, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის წინაშე, ხოლო მისი ხელმძღვანელი მკაცრ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს.

მნიშვნელოვნად შეიცვლება სააგენტოს მიერ ჩასატარებელი მოკვლევების წესი. კერძოდ, **გაუქმდება საჩივრის ან განცხადების განხილვასთან დაკავშირებული საფასურის გადახდა; 6-დან 3 თვემდე შემცირდება გადაწყვეტილების მიღების ვადა. განსაკუთრებით რთულ შემთხვევაში ეს პერიოდი 15-დან 10 თვემდე მოიკლებს.**

ანტიკონკურენციული მოქმედებების პრევენციის უზრუნველსაყოფად დაზუსტდება კანონით გათვალისწინებული ჯარიმის დაწესების კრიტერიუმები – კერძოდ, **მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 10 პროცენტს. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს თანამშრომლობის პროგრამას, რომელიც მრავალ ქვეყანაში (აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, კანადაში, და სხვაგან) ანტიკონკურენციული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია და ეკონომიკური აგენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან ნაწილობრივ, ან სრულად გათავისუფლებას, თუკი იგი კონკურენციის სააგენტოსთან კარტელის გამოვლენის და მისი შედეგების პრევენციის, ან დროულად აღკვეთის პროცესში ითანამშრომლებს.**

დასკვნის სახით კი იმის თქმა შეიძლება, რომ შიდა ბაზარზე ყველა ეკონომიკური სუბიექტის თანაბარი უფლებების, კონკურენტულობის დაცვა მართალია მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი ნაბიჯია. არადა, ბაზრის ჭეშმარიტ თავისუფლებამდე კიდევ საკმაოდ გრძელი და რთული გზაა გასავლელი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მოქალაქის პოზიცია

რატომ ვიქეცით ბევრისთვის საჯილდაო ქვად?!.

საქართველოს პოლიტიკური გზაჯვარედინი: „ეროვნულები“, „პროგრესულები“ და დაბნეულები

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ამ სტატიას, ძირითადად, დაბნეულებისთვის ვწერ. „ეროვნულებს“ და „პროგრესულებს“ კი ვთხოვ, მომყვნენ მსჯელობაში და საკუთარი პოზიციები შეაფასონ (ან გადააფასონ).

საქართველო ისტორიულ გზაჯვარედინზეა და უმნიშვნელოვანესი გამოწვევისთვის ძალებს იკრებს. ამ გამოწვევის პიკი ამჯერად, 2014 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე დაფიქსირდება, როცა დღის წესრიგში დადგება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი.

საქართველოს „გზაჯვარედინზე“, როგორც დიდი პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელზე, იკვეთება ევრო-ატლანტიკური, რუსული და აზიური სამყაროს ინტერესები. ამიტომაც არის ჩვენი ქვეყანა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი რეგიონული ცენტრი და დიდ სახელმწიფოთა საჯილდაო ქვა. ამას თითქოს შევეჩვიეთ. მაგრამ, მსოფლიოს ურთიერთგადამკვეთი ინტერესების განეიტრალება და დაბალანსება ჩვენი ქვეყნის გადაუწყვეტ პრობლემად რჩება, რაზეც პოლიტიკოსებთან და ექსპერტულ საზოგადოებასთან ერთად, ყველა სახელისუფლო ინსტიტუტი გამალებულად უნდა ბჭობდეს. რეალურად კი, ამ პრობლემის მიმართ მხოლოდ პოლიტიზებული საზოგადოება თუ აქტიურობს მეტ-ნაკლებად. ასე ჩანს ქართულ მედია სივრცეში. სამაგიეროდ, არაფერი ჩანს და არ ისმის სახელისუფლო სტრუქტურებიდან, სადაც ყველამ თავისი ადგილი უკვე კარგად მოირგო და თავი დაიმკვიდრა, საქმე „გაკეთდა“ და მათი აქტიურობაც დასრულდა. ქვეყანა გარინდულია.

გამოწვევების წინაშეა ქართველი საზოგადოებაც – რიგითი, ქვეყნის ბედზე მოფიქრალი კონსერვატორი „ეროვნულებიც“ და ევროცივილიზაციას ნაზიარები „პროგრესულებიც“. ადამიანთა დიდი ნაწილი დაბნეულია: რა უნდა ამ პატარა ქვეყანას, ევროპა თუ ევრაზია, თუ არც ერთი?!

თუ ჩვენი საზოგადოება ამ არჩევანში, ამ გზაჯვარედინზე მტკიცე და ერთმუშტად შეკრული არ იქნება, ქვეყანას მოსალოდნელ გამოწვევებთან გამკლავება გაუჭირდება. გამოჩნდებიან სულ სხვა პოლიტიკური ინტერესების წარმომადგენელი „მამულიშვილები“ და მყარი ისტორიული არგუმენტებით, ეკონომიკურად დასაბუთებულ, პოლიტიკურად „საჭირო“ თემებს გააქტიურებენ საზოგადოების სახელით. მაგალითად, რეფერენდუმის გამართვას, ან ფართო დისკუსიის წამოწყებას საქართველოს პოლიტიკურ არჩევანზე. შეიქმნება ან გააქტიურდება „ეროვნული“ ორიენტაციის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიული კოალიციები და დაიწყება ბაკქანალია: მიტინგები, შემდეგ ქუჩის დაპირისპირების იმიტაცია, მათი დაშლის მცდელობა და ა.შ. ასეთი სცენარები და მათი შედეგები ჩვენ კარგად გვახსოვს 90-ანი წლების გზაჯვარედინზეც, სიგუა-კიტოვანის (და სხვა მრავალის) „ეროვნული“, სინამდვილეში კი ბრიყვული ან გარედან პროვოცირებული მოთხოვნებით (მაგალითად: დემოკრატია თუ თავისუფლება, ან: ჯერ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შემდეგ ეკონომიკურიო – გახსოვთ, ალბათ). ასეთ ხალხს - ცბიერ „სიგუებს“ და ბრიყვ „კიტოვანებს“ რა გამოლევს საქართველოში, ყველა დროში და ეპოქაში. ესეც ერთ-ერთი ის შესაძლო საფრთხეა, რასაც რუსული კაპიტალი და პოლიტიკა საქართველოს დაუპირისპირებს ევროინტეგრაციის გზაჯვარედინზე, 2014-ის ზაფხულ-შემოდგომაზე. ვიძახოთ მერე, რუსეთს ბერკეტები აღარ აქვს ჩვენს წინააღმდეგო... ხალხი ყავს სამაგიერდ ჩვენს წიაღში, უხვად „მოსახმარი“ და უვადოდ „გამოსაყენებელი“. იმასაც ამბობენ, რომ მსგავსი სცენარი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ქვეყნის დაფინანსება მილიარდებით, ან აშკარად ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში. უკვე ვნახეთ, რა ძალა აქვს რუსეთს და რამდენად ცივილურად მოქმედებს ის.

სტაბილურობის თემას უკავშირდება თბილისის მერის და თვითმმართველობის არჩევნებიც, რაც ქვეყნისთვის მეტად მწვავე პერიოდს ემთხვევა. საზოგადოებამ ეს გამოწვევაც უნდა გაითვალისწინოს და არჩევნებში გულგრილი, პასიური არ იყოს. „თბილისელობა“ აქ სრულიად პირობითია და კანდიდატის ღირსებას არანაირად არ უკავშირდება. ვინც ბ-ნ ნარმანიას მერობის კანდიდატობის თემას ამწვავებს და ზოგიერთი „ძველი ბიჭივით“ აქ უადგილოდ „თბილისელობის“ პრობლემად ქცევას ცდილობს, ის მართლა უმწიფარი „ბიჭია“ ან სრულიად შეგნებულად ქვეყნის პოლიტიკურ რისკებს ზრდის.

პრობლემის სიმწვავეს ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს უკრაინის მოვლენები, ასევე საქართველოს მიმართ რუსული საგარაუდო სცენარები და ამ თემაზე რუსული კომენტარები. მაგალითად, ასეთი – რუსი ექსპერტის, სტრატეგიულ კონიუნქტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის, მიხეილ ჩერნოვის აზრით:

„კონკრეტული ისტორიული და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოს მოუწევს თავის გეგმების კორექტირება“;

„რუსეთმა უკანასკნელი ერთი-ორი წელია დაიწყო ევრაზიის სივრცის შეგროვების პროცესი. შემდგომში, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს ერთიანი სახელმწიფოს ფორმა ექნება“;

„ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს რუსეთის ფედერაციას აღადგინოს სახმელეთო საზღვარი სომხეთთან და შესაბამისად, ახლო აღმოსავლეთში გასასვლელი გააკეთოს (ეს პუტინის სიტყვებს უფრო გავს – **ნ.ვ.**)“;

„ახლა რეალობა ასეთია – რუსეთი ამერკავკასიაში კვლავ დაბრუნდება და ობიექტურ მიზეზთა გამო საქართველოს საზღვრები გადაიხედება („ინტერპრესნიუსი“ 10:28 18-01-2014)“.

იხ. 6 გვ.

რატომ ვიქეცით ბევრისთვის საჯილდაო ქვად?!.

(მეხუთე გვერდიდან) ეს კაცი რუსულ იმპერიაზეა კაეშანს მიცემული და გონებაამღვრეული, ისევე, როგორც მისი პრეზიდენტი. შესაძლოა, ეს „რბილი“, პროპაგანდისტული ომის ნაწილიცაა, ისევე, როგორც პრორუსული პუბლიკაციების გამოჩენა ქართულ პრესაში. მაგრამ ქართველებს რა გვჭირს, რატომ ვართ გარინდული და ნეტარ მოლოდინს მიცემული? როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სრულიად უკონტროლო, თავზეხელაღებულ ძალასთან, რომელიც შუასაუკუნეების დონეზე აზროვნებს და კვლავ „მიწების შეგროვებით“ (ამჯერად ევრაზიის სივრცეში) არის დაკავებული, რასაც საბოლოოდ „ერთიანი სახელმწიფოს ფორმა“ ექნება (ანუ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს). უფრო გასაგებად, ჩვენს გზაჯვარედინზე, არჩევანი გასაკეთებელი გვაქვს თავისუფლების სამყაროსა და ბნელეთის სამყაროს შორის (რომელიც უცერემონიოდ გადაყლაპვას გვიპირებს), და რა არის აქ გაუგებარი ან დასაბნევი?! მარტივი არჩევანია: დემოკრატიული სამყარო ან კარგად ნაცნობი ბოროტების იმპერია. თუ არჩევანი ჩვენზეა, ქართველ საზოგადოებას დღეს მხოლოდ ევროოპტიმიზმი სჭირდება, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად. აქ, ორჭოფობა და მოლოდინი შესაძლო რუსულ სიკეთეებზე, მხოლოდ ცნობიერების დამანგრეველია. ან რატომ გვგონია, რომ ჩვენი სურვილები და აქეთ-იქით „სწრაფვა“ გადამწყვეტი ფაქტორია? მიგვიღებს კი ევროპა ასეთ დაბნეულ საზოგადოებას?

საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, ქვეყანაში მოქმედებენ ძალები, რომლებიც საქართველოს ევროინტეგრაციას ეწინააღმდეგებიან.

„თქვენ გექნებათ ბევრი გამოწვევა იმ ადამიანებისგან, რომლებიც საუბრობენ ქართულ ტრადიციებზე, ქართულ სტანდარტებზე, იმაზე, თუ რამდენად გარყვნილია ევროპა, რამდენად სულელურია ევროპული შემწყნარებლობა და ტოლერანტობა“ („რეზონანსი“: „ბრძოლა საქართველოს ევროინტეგრაციის წინააღმდეგ“, 21.01.2014).

პრობლემა იმაშია, ჩვენი გულარხეინობით, ისე ხომ არ გამოვა, რომ ქვეცნობიერად და ნელ-ნელა, ქართული სტანდარტებისთვის უფრო „მისაღები“ და „მომხიბვლელი“ რუსულ-აზიური „რბილი ძალის“ ტყვეობაში აღმოვჩნდებით?! რბილი, „ეროვნული“ ინტერესი დაახლოებით ასეთია:

„ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს ის, რაც მის სახელმწიფო ინტერესებსა და სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს, რაც მას შინაგან კმაყოფილებას მოუტანს... და არა იმ იდეებს ემსახუროს, რაც მისთვის სრულიად უცხოა, გარედან ბრჭყვიალა, ლამაზი სიტყვებით მორთული, მაგრამ მისი ეთნოფსიქიკისთვის მიუღებელი, ფიზიკურ-სულიერი გადაშენების საფრთხის მომცველი... უცხოური ფულით გავრცელებულ მტრულ იდეოლოგიას, თავი რატომ უნდა მოატყუებინოს ქართველმა ხალხმა?“ (გია თვალავაძე: „ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი“, For.ge,2014-01-03).

არა, ეს არ მოხდება, ნუ გეშინიათ ხალხო. „შეუძლებელია რომ ის გენეტიკური ქართული კოდი, რომელიც საუკუნეების მანძილზე საკუთარი თვითმყოფადობის გადარჩენისათვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა, ეროვნული სხეულის გამხრწნელმა და მომაკვდინებელმა იდეოლოგიებმა დაძლიოს და სიკვდილის გზას გაუყენოს“. ამისთვის კი, არ უნდა ავყვეთ მსოფლიოს რეალურ მმართველთა (მასონთა და ა.შ.) კოსმოპოლიტურ მისწრაფებებს. რადგან „ფაქტია, რომ მათ ლიბერალისტურ კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას ეფუძნება ევროპის მოქმედი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება ევროკავშირი“ (გ. თ. — იქვე).

მკითხველო, აქ დასკვნებს ჯერ ნუ გააკეთებთ. ამ სტატიის ბოლოს გაიხსენეთ ეს ემოციური პასაჟი და შემდეგ შეაფასეთ მისი მომნუსხველი ძალა.

ამგვარად, აქ ორიენტაცია ცალსახად ჩამოყალიბებულია: უარი „დასავლურ გლობალისტურ იდეოლოგიას“, გახრწნილ, ქართული ეთნო-ფსიქიკისთვის მიუღებელ ევროპას, წინ — „შინაგანი კმაყოფილების მომგვრელი“ ევრაზიული პერსპექტივისკენ. ასეთია „ეროვნული ფენომენის შენარჩუნებისა და ეროვნული კულტურის დამფასებელი ადამიანის“ პოზიცია. ეს პოზიცია (მთლიანობაში სტატია) საკმაოდ არგუმენტირებული და ვფიქრობ, გულწრფელია. მაგრამ კონცეპტუალურად მცდარია. შედეგად კი, საზოგადოება და მკითხველი — დაბნეულია.

ამ ფონზე, ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციას ჩამორჩენილ, თანამედროვე „ცოდნას“ მოკლებულ, პატარა პროვინციის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც ყველაფერი „მოსულა“, და ამას, სულ ადვილად მიხვდება დაფიქრებული მკითხველი, აქ და ახლავე. დავინახავთ, რომ საქართველო ჯერ კიდევ არშემდგარი სახელმწიფოა და მას, გარდა ფსიქო-სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური სირთულეებისა, ელემენტარულად, საღად მოაზროვნე ადამიანების (და საზოგადოების) პრობლემებიც აქვს. დიახ, ქვეყანაში ასეთი ადამიანების მწვავე დეფიციტია. ნათელი გონების კაცები არ ჩანან — აღარ იბადებიან და აღარ იზრდებიან. ალბათ, ეს პატარა ქვეყნების სინდრომია.

ფსევდოპატრიოტიზმი სრულ გონებაშეზღუდულობაში რომ არ გადაიზარდოს, ჯერ იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, არის თუ არა საქართველო ჩამოყალიბებული სახელმწიფო, ვართ თუ არა თავისუფალი მოქალაქეები?!

ჩემს წინა სტატიაში — „სოციალური კაპიტალი და „არშემდგარი სახელმწიფოები“ — ვცდილობდი ამეხსნა, თუ რა ფაქტორები განაპირობებს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და ეს, ე.წ. „სოციალური კაპიტალის“ შექმნას დავუკავშირე, რაც არამატერიალური და უხილავია, მაგრამ სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ეკონომიკური რესურსები და ყველა სხვა სახის მატერიალიზებული კაპიტალი.

„სოციალური კაპიტალის გაზრდის მზა ფორმულა არ არსებობს. თუმცა, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ საზოგადოების მომწესრიგებელი საწყისი ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში და აუცილებელი „ცოდნის“ დაგროვებაშია, ე.ი. უმარტივესი სოციალური საწყისების (ნდობის, თანადგომის, სოლიდარობის) დამკვიდრება, შესაბამისი „ცოდნის“ დანერგვა და განვითარებაა აუცილებელი, რაც ახალგაზრდა, თანამედროვე ცოდნის მატარებელმა საზოგადოებამ უნდა ითაოს“ — წერდი სტატიაში (For.ge, 2013-12-20 00:07:15).

როგორც ჩანს, ასეთი კაპიტალი საქართველოს არ გააჩნია.

არის ასეთი პოლიტიკური ტერმინი — „Failed State“— „ქმედუუნარო, არშემდგარი, ვერშექმნილი სახელმწიფოები“. ასეთი სახელმწიფოს მაგალითებად ასახელებენ სომალის, ჰაიტის, სუდანს და ა.შ. ესენი ღარიბ-ღატაკი ქვეყნებია, რომლებიც ვერ ვითარდებიან პოლიტიკური ელიტის სიხარბის, კორუფციის, ომის და სხვა მიზეზების გამო. არის არშემდგარ სახელმწიფოთა სხვა კატეგორიაც, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, მაგრამ სოციალურად ღატაკი, არაპროგნოზირებადი, დესტრუქციული და აგრესიული, სადაც ადამიანები „ბუნებრივ მდგომარეობაში“ კონფლიქტებისკენ არიან მიდრეკილები. აბა, რომელ სახელმწიფოს გაგონებთ ეს კრიტერიუმები? აზიური ყოფის და მიდრეკილების ქვეყნებს ხომ არა? ვერშექმნილი, თითქმის ველური ინსტინქტების მქონე სახელმწიფოს კარგი მაგალითია რუსეთი, მთელი თავისი პოტენციალით და ისტორიით. არჩევანის გაკეთებამდე, ესეც დავიმახსოვროთ. მე ვფიქრობ, აღნიშნულის გარდა, ასეთია მთლიანად პოსტკომუნისტური (მ.შ. ყოფილი სსრ კავშირის შემადგენელი) ქვეყნებიც, რომლებსაც სოციალური კაპიტალის დაბალი მაჩვენებელი აქვთ, მათ შორის საქართველოს.

ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა ჯერ კიდევ დესტრუქციული ყოფაა, ამღვრეული გონება, უკიდეგანო და უსასრულო ეკონომიკური სიდუხჭირე, ჩამოუყალიბებელი პარტიები, ტენდენციური ენჯეოები — მსუყე ნიადაგია ნებისმიერი ორიენტაციის იდეების დასამკვიდრებლად. სწორედ ასეთია „არშემდგარი სახელმწიფო“.

ჩვენი „არშემდგარობა“ სხვა მხრივაც მტკიცდება. რაც უფრო ახლოსაა გეოგრაფიულად ქვეყანა ევროკავშირთან, მით უფრო პროგრესულად და საღად გამოიყურება საზოგადოება. მაგალითად, თუ ადამიანთა ასაკს და განათლების დონეს დასავლური ფასეულობის შექმნის და „მოწესრიგებისკენ“ ორიენტაციის კრიტერიუმებად განვიხილავთ, საზოგადოების „ჯანმრთელობის“ ხარისხი კარგად შეიძლება შევაფასოთ თუნდაც უკრაინის მაგალითზე. დონეცკის ოლქში (აღმოსავლეთ, ე.წ. რუსულენოვან უკრაინაში, სადაც 74,9% რუსულად საუბრობს, 24,1%-უკრაინულად) ჩატარებული კვლევების მიხედვით, შეკითხვაზე - უნდა ვისწრაფოდეთ თუ არა ევროკავშირისკენ, ევრაზიული რუსული პროექტი უნუგეშოდ აგებს სამ ასაკობრივ ჯგუფში: ანგარიშით 44:25 „ევროპელები“ იგებენ მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის 18-25 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში; 43:30 — 25-36 წ.წ. ჯგუფში და 48:32 — 36-45 წ.წ. ვინც 50 წელთან ახლოსაა, ის ახლოა საბაჟო კავშირთანაც (40% 31%-ის წინააღმდეგ). და მხოლოდ მოხუცებულთა კატეგორია უგებს „ევროპელებს“ დამაჯერებლად 73:35-ს. ევროპა იგებს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა კატეგორიაშიც 54:33-ს და აგებს არასრულ საშუალო და დაწყებითი განათლების ჯგუფში 11:53-ს (РИА Новости, 2013, 12 10).

ამგვარად, უკრაინის არჩევანი სტატისტიკურად და „დემონსტრაციულადაც“ — საზოგადოების დონეზე, ცალსახა და ჩამოყალიბებულია.

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობენ თავად რუსები რუსეთში. ნათელი გონების რუსი მოაზროვნეები და ექსპერტები სამომავლოდ, რუსეთისთვისაც კი ევროპულ არჩევანს ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ და პუტინის პროექტების მიუხედავად, ევროპის ნაწილად ყოფნას არ გამორიცხავენ.

სტატიაში — „რატომ მიისწრაფვიან დნეპრის სანაპიროებზე არა აღმოსავლეთით, არამედ დასავლეთით“, საზოგადოება „მემორიალის“ წევრი, ევროპული პროგრამების ექსპერტი კირილ ველიკანოვი წერს: „ევროპაში უნდა ასევე თურქეთს. უნდა საქართველოს. უნდა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს, თუმცა იციან, რომ იქამდე მათთვის ჯერ შორი გზაა. უნდა მოლდავეთს, უნდა ასევე „დიდებულ და სახელოვან“ დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკას. ჩვენ კი აქ, რუსეთში, რუსებს და თათრებს, ბაშკირებს და კარეელებს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ათას ერთ ეროვნებას, ჩვენ ყველას, განა არ გვინდა ევროპაში? გვინდა, რა თქმა უნდა, გვინდა, გვიკვირს: რატომ არ არის აქ ევროპა? ჩვენ რა, მათზე სულელები ვართ? მზად ვართ, თუნდაც ხვალვე გავხდეთ ევროპა. რა ან ვინ გვიშლის ხელს? ახ, დიახ, უფროსობა. აქ ხომ აზიაა (უკაცრავად, ევრ-აზია, უფრო ზუსტად — „აზიოპა“). და უფროსობა აქ აზიურად გვპატრონობს. და ხომ არ იქნება ჩვენთვის „დამღუპველი“, თუ ოდესმე ევროპაში აღმოვჩნდებით? სისულელეა“ („ნეზავისიმაია გაზეტა“, 2014-01-15).

და რატომ მიილტვიან ეს ქვეყნები ევროკავშირში? რით არის ის მიმზიდველი გარშემო მყოფი ქვეყნებისთვის? რიგითი, მოაზროვნე რუსის პოზიცია ჩამოყალიბებულია, და ის დაახლოებით ასეთია:

„პირველ რიგში, მიმზიდველია მასში შესვლის ნებაყოფლობითი ხასიათით და ყველა წევრი-სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობით. ნახეთ: ერთხელ ჩეხეთმა, მეორედ ირლანდიამ, პატარა ქვეყნებმა, რამდენიმე წლით დაბლოკეს უმნიშვნელოვანესი საერთოსაკავშირო გადაწყვეტილებები, და არავის არ დაუძალებია, არ დაუშანტაჟებია, არ გადაუკეტია გაზის მილსადენი, არ შეუფერხებია ტრანსპორტი მოლდოვური ღვინით, ქართული ბორჯომით ან ლიტვური არაჟნით. ეს რუსული მეთოდები იქ არ ჭრის, ასე რომ, საშიში არაფერია. პირიქით — ამ მოსკოვური მეთოდებისგან იქ ერთობლივად დაგიცავენ“.

ევროკავშირი ასევე მომხიბვლელია ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ დაცულობას შორის ბალანსის დაცვაზე ზრუნვით და შენარჩუნებით, მიუხედავად მსოფლიო-ეკონომიკური კონიუნქტურით გამოწვეული სიძნელეებისა. ბალანსით, რომელიც არ არსებობს არც აშშ-ში და მით უფრო, თანამედროვე რუსეთში.

და ბოლოს, ევროკავშირის მესამე ძირითადი მახასიათებელია მრავალენობრიობის საფუძველშივე აღიარება, მრავალი, ძალიან განსხვავებული კულტურის მიღება არა როგორც პრობლემის, არამედ როგორც სიმდიდრის, რაც შენარჩუნებას და განვითარებას საჭიროებს. მალტაც კი, პატარა კუნძული, რომელიც სხვადასხვა ევროპული და არაბული ენების საოცარ ნაერთზე საუბრობს, ევროკავშირში იმავე სტატუსით სარგებლობს, როგორც საფრანგეთი ან გერმანია.

ამ თემაზე „ნეზავისიმაია გაზეტას“ ფურცლებზე მსჯელობენ. ე.ი. რუსები თანაუგრძნობენ უკრაინელებს, მოლდოველებს, ქართველებს, რუსეთი მიისწრაფვის (პუტინის გარეშე) ევროკავშირში და ჩვენ, ქართველ „აზიატებს“ პუტინის რუსულ-აზიური ალიანსი არჩევანის და განხილვის თემად წარმოგვიდგენია?! სად არის ამ დროს ქართული ლოგიკა, სად არიან ქართველი „ლოგიკოსები“? აქ არიან, და რეფერენდუმს ითხოვენ.

კულტურულად, ცხადია რუსეთი ევროპაა, დასავლური ცივილიზაციის ნაწილია. მხოლოდ პოლიტიკურად არის ის მოწყვეტილი ევროპულ ცივილიზაციას, ხელოვნურად, დროებით. ეს შესანიშნავად იცის განათლებულმა, თანამედროვე ცოდნას ნაზიარებმა რუსმა. ამიტომაც მისი მსჯელობა კომპეტენტური და პატრიოტულია. უფრო მეტიც — ეს წმინდა ევროპული აზროვნებაა, ისეთივე, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, თავისუფალი ევროპელის.

ამ ფონზე, სამწუხაროდ, ზოგიერთი „ეროვნული“ პოზიციის მქონე ქართველი, ისტორიას ჩამორჩენილ, ბნელი პროვინციის ბინადრად გამოიყურება, როცა ამ თემის „ანალიზისას“ მრავალ კითხვის ნიშანს სვამს.

გვავიწყდება, რომ თავის დროზე, ერეკლეს არჩევანი, დღევანდელ პოლიტიკურ ენაზე, ევროპული არჩევანი იყო. ნადირ-შახის კარზე გაზრდილმა ქართველმა მეფემ შესანიშნავად იცოდა, რომ სასტიკი აზიური ყოფისგან თავის დაღწევის და ევროპასთან დაახლოების ერთადერთი გზა, იმ დროს, რუსეთზე გადიოდა. ასე იყო: ერეკლემ აზიისგან დაიცვა საქართველო, როგორც შეძლო, და დაგვიბარა — დანარჩენი თქვენ გააკეთეთო... და დღემდე, გზაში ვართ. სხვა შემთხვევაში, დღეს ჩვენ ან ირანის პროვინცია ვიქნებოდით, ან თურქეთის, ან შუაზე გაყოფილი — ორივესი ერთად. და მაშინ, არც არჩევანის დილემა გვექნებოდა გადასაწყვეტი: ევროპული გზა აგვერჩია თუ რუსულ-აზიური.

დღევანდელ ქართველს კი, ჯერ კიდევ არშემდგარ ქართულ სახელმწიფოში, გაურკვევლობის სენი შეჰყრია...

მაგრამ ყველაფერს მოევლება. უნდა გვახსოვდეს, რომ ცნობიერების დაწმენდა და პრობლემის გადაწყვეტა ღირებულებითი კატეგორიების — კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლების — შექმნაში, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში და უბრალოდ — ლიბერალური ქრისტიანული ფასეულობების რეალიზებაშია. ასეთია მოწესრიგებული სახელმწიფოს მშენებლობის გზამკვლევი. ამის ნათელი მაგალითია ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები და მათი გაერთიანება — ევროკავშირი.

ასეთია თანამედროვე ცივილიზაციის გზა და ორიენტირი ჩვენს ქართულ გზაჯვარედინზეც.

ნუკრი მიხანაშვილი

◎ კიდევ ერთი „გაღლეტილი“

„ვაებობთ ფირმას და ვგულისხმობთ ვანოს!“

კომპანიების ნუსხა, რომელიც ყოფილი შს და პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთანაა ასოცირებული, „რეპორტიორს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდულმა ცენტრმა“ მიაწოდა.

ამ ცენტრის ხელმძღვანელის ზურა ძადაგიძის თქმით, ნუსხაში ის ბიზნესებია მოხვედრილი, რომლებიც მისივე მტკიცებით, გარკვეულ პირებს ერთგვარი ზეწოლის შედეგად ჩამოერთვათ.

ნუსხა, რომელშიც ვანო მერაბიშვილთან ასოცირებული კომპანიებია ასახული

აღნიშნული ნუსხა ასე გამოიყურება:

„შპს „გლობალფარმი“ – დაფუძნების დღიდან (2005 წელი) ჯამური ერთობლივი შემოსავალი 197 809 269 ლარი, კომპანიის დირექტორი – ვანო მერაბიშვილის უახლოესი მეგობარი ანტონ ობოლაშვილი;

შპს „დანი 2012“ – დაფუძნებულია 2012 წელს, მისი ჯამური შემოსავალი 4 594 206, სწორედ აღნიშნულ კომპანიას ეკუთვნის რესტორანი „ქართული სახლი“, დამფუძნებელი და 70%-იანი წილის მფლობელია მერაბიშვილის ნათესავი ლია ობოლაშვილი (მერაბიშვილი).

შპს „პრიმა ვიტა“ დაფუძნების დღიდან 2009 ჯამური შემოსავალი 4 734 195 ლარი, საწარმო დაფუძნებულია ვანო მერაბიშვილის ახლო მეგობრის გელა ობოლაშვილის მიერ.

ააიპ „მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია“ – დაფუძნებულია 2005 წელს, ჯამური შემოსავალი 27 306 100 ლარი, დაფუძნებულია ვანო მერაბიშვილის მიერ, ამჟამად მუშაობს თაკო სალაყაია.

შპს „განაჯი 2012“ – ერთობლივი შემოსავალი 30 255 ლარი, 50% ეკუთვნის ვანო მერაბიშვილის დას მარინე მერაბიშვილს.

შპს „ავტობრავა“ – დაფუძნებულია 2011 წელს. ჯამური შემოსავალი 141 708 ლარი, დამფუძნებელი – ივანე მერაბიშვილის დის ქმარი ირაკლი კობერიძე;

შპს „დიბელი ჯგუფი“ – დაფუძნებულია 2012 წელს ჯამური შემოსავალი 143 288 ლარი, 75%-იანი წილის მფლობელია მერაბიშვილის დის ქმარი ირაკლი კობერიძე;

შპს „ჩვენი რადიო“ – დაფუძნებულია 2004 წელს, ჯამური შემოსავალი 43 869 ლარი, საწარმოს 100% დამფუძნებელია მერაბიშვილის დის ქმარი ირაკლი კობერიძე;

ირაკლი კობერიძესვე ეკუთვნის **„ლ.ბ. ინვესტ ჯგუფი“** – დაფუძნებულია 2002 წელს, რომლის შემოსავალიც 29 728 486 ლარია;

ასევე:

შპს „მიონი დეველოპმენტი“ – დაფუძნებულია 2009 წელს, შემოსავალი – 1 258 552 ლარი;

შპს „ელექტრონული ტექნოლოგიები“, რომელიც 2005 წელს დაარსდა და მისი შემოსავალი – 35 72 480 ლარია;

შპს „მესხეთი 2004“ – დაფუძნებულია 2005 წელს, შემოსავალი – 41 79 152 ლარი, ეკუთვნის ვანო მერაბიშვილის ახლო ნათესავსა და მეგობარს ანტონ ობოლაშვილს.

შპს „ბიუთი ლაიფი“ – დაფუძნებულია 2009 წელს და შემოსავალია 12 805 ლარი, დამფუძნებელია მერაბიშვილის ნათესავი ლია ობოლაშვილი;

მასვე ეკუთვნის შპს **„ბეიბი ლენდი“,** რომლის ერთობლივი შემოსავალიც 202 007 ლარია;

„შპს ბათოილი“, – დაფუძნებულია 2006 წელს, შემოსავალი – 166 885 366 ლარი. ეკუთვნის ვანო მერაბიშვილის ახლო მეგობარს ლუხუმ კაპანაძეს;

შპს „ჯორჯიან ქარდ ბოარდი“ – დაფუძნებულია 2009 წელს, შემოსავალი – 9 713 092 ლარი, კონტროლდებოდა ვანო მერაბიშვილის მიერ.

შპს „ევრაზია ტრანზიტი 2012“ – შემოსავალი – 1 120 253 ლარი, 100% მეწილე ნიკა ლიპარტია, რეალური მმართველი – ვანო მერაბიშვილი.

შპს „ტაო“ – დაარსებულია 2005 წელს, საერთო შემოსავალი – 10 820 557 ლარი, ეკუთვნის ვანო მერაბიშვილის ბიძაშვილს ლევან თუმანიშვილს.

შპს „მზიური საქართველო“, (სასურსათო ზეთის იმპროტი), – შემოსავალი 37 882 655 ლარი, ეკუთვნის ივანიშვილის ახლო მეგობარს ლუხუმ კაპანაძეს.

შპს „ახალციხე აგრო ფუდი“ – რეალურად ლუხუმ კაპანაძისა და ივანე მერაბიშვილის ბიზნესია“, – აღნიშნულია ნუსხაში.

დიანა ლიპარტელიანი

Reportiori.ge

◎ კომპეტენტური აზრი

ევროპული პრაგმატიზმი და ქართული მოლოდინები

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, პირველ რიგში, მსოფლიო თავისი მასშტაბებით შეძრა. ამასთან, მან უზარმაზარი გავლენა იქონია საერთაშორისო პოლიტიკაზეც, სერიოზულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სართაშორისო პოლიტიკის ძირითად მოთამაშეთა შორის ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება. ტერაქტის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტერორისტებზე ტოტალური ნადირობა გამოაცხადა და ბინ-ლადენის ძებნას მთელ მსოფლიოში შეუდგა. და, როდესაც მსოფლიოს №1 ტერორისტის კვალზე დამდგარი აშშ ცენტრალურ აზიაში შეიჭრა და ავღანეთში თავშეფარებული ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად ყირგიზეთს სამხედრო ბაზა მოსთხოვა, მას რუსეთმაც კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა, რადგან რუსეთის ეს ნაბიჯი მაშინდელ მსოფლიოში ტერორისტების მხარდაჭერად აღიქმებოდა. აი, ასეთ სპეციფიკურ სიტუაციაში მოახერხა შეერთებულმა შტატებმა თავისი გავლენა მანამდე რუსეთის ერთპიროვნული გავლენის რეგიონზე – ცენტრალურ აზიაზეც გაევრცელებინა. თავის მხრივ, ამან მისი პოზიციები კავკასიაშიც გააძლიერა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი თავის პოზიციებს აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ აზიაშიც თმობდა. მართალია, წინდახედული პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსეთის ამ უკანდახევას დროებითი ხასიათი ჰქონდა და მანჰეტენის ტყუპების ჩამოშლის კადრების ნახვის შედეგად მსოფლიოს მიერ მიღებული შოკის გავლის შემდეგ ის კვლავაც შეეცდებოდა თავისად მიჩნეულ რეგიონში გავლენის დაბრუნებას, ამ გარემოებამ მაინც მისცა დასავლეთს საბაბი საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დადგომა გამოეცხადებინა. შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მესვეურებმა საერთაშორისო თანამეგობრობას ამცნეს, რომ მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და 21-ე საუკუნეში აღარავის აქვს უფლება რომელიმე რეგიონზე თავისი განსაკუთრებული უფლებების შესახებ ილაპარაკოს. დასავლეთმა, პირველ რიგში კი შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც მაშინ სააკაშვილზე არანაკლებ ავანტიურისტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) მართავდა, შეიმუშავა ამიერკავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან რუსეთის უახლოეს მომავალში განდევნის გეგმა და შეუდგა მის პრაქტიკულ რეალიზაციას. საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, პირველ რიგში კი მმართველ ნაციონალურ მოძრაობაში, გაჩნდა ილუზია, რომ ნატოში და ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება უახლოესი პერსპექტივის საქმეა.

საერთაშორისო პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი დასავლეთის ახალ მიდგომას რუსეთმა, არცთუ უსაფუძვლოდ, მისი ეროვნული ინტერესების შელახვის მორიგი მცდელობა უწოდა და მის აღიარებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მართლაცდა, რა შეიცვალა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში კალენდარში მომხდარი ცვლილების შედეგად? როგორც მაგნიტს გააჩნია თავის გარშემო მიზიდულობის ველი, ისე დიდ სახელმწიფოს (დიდს ტერიტორიით, მოსახლეობის რიცხოვნობით, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით) გააჩნია გავლენის სფერო. ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება კალენდარზე დამოკიდებული ნამდვილად ვერ იქნება და არც არის. 11 სექტემბრის ტერაქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთმა მეთოდურად დაიწყო ცენტრალურ აზიაში და ამიერკავკასიაში თავისი დომინირებადი პოზიციების დაბრუნებაზე ზრუნვა. რუსეთის გარშემო ევრაზიის სივრცის შემოკრების პროცესი, რუსეთის პოლიტიკური წრეების გაგებით, გულისხმობს როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით, რომლებზეც რუსეთმა დიდი ხანია ჩაიქნია ხელი) რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებას, ისე არსებული საზღვრების გადახედვასაც. თუ რაზეა წამსვლელი თავისი მიზნების მიღწევისთვის რუსეთი, ამას ნათლად აჩვენებს უკრაინის ახლანდელი მოვლენები, პირველ რიგში კი ეს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა დაგვანახვა. პრაგმატულმა დასავლეთმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას, რუსეთის მიმართ აგრესიულ, გამომწვევ რიტორიკაზე ხელი აიღო და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაწევრიანების უფრო ფრთხილ, მოზომილ პოლიტიკაზე გადავიდა. დასავლეთში დღეს ნათლად აცნობიერებენ, რომ ვიდრე რუსეთის სახელმწიფოს სათავეში პუტინი და მისი გარემოცვაა, ევროკავშირში და, განსაკუთრებით, ნატოში უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანების მიმართულებით გადადგმული თითოეული ნაბიჯი დიდი ხიფათის შემცველია. ამასთან, დასავლეთს ისიც კარგად ესმის, რომ რუსეთი ვერ ასცდება კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს და, ადრე თუ გვიან, ამ სახელმწიფოს სათავეშიც მოვლენ მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ძალები, რომლებიც უფრო მეტად გაუწევენ ანგარიშს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს (დასავლეთის გავლენიან პოლიტოლოგთა აზრით, ამას 8-10 წელი მაინც დაჭირდება). აი, სწორედ ამ პერიოდზეა გათვლილი დასავლეთის კვლავ გააქტიურება რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან. მანამდე კი მას ისღა დარჩენია, რომ მუდმივი შეძახილებით: „საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი“ და „ნატოს კარი ყოველთვის ღიაა საქართველოსთვის“ – ერთი მხრივ, გამუდმებით „ხედნოს“ რუსეთის პოლიტიკური წრეების ყური, მეორე მხრივ კი, იმედებით ასაზრდოოს ქართული საზოგადოება და მისი პოლიტიკური ელიტა.

რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომლისთვისაც ზოგადად დამახასიათებელია სასურველის რეალობად წარმოდგენა, ის კვლავაც ილუზიებში იმყოფება და უახლოეს მომავალში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩართვის იმედებს არ კარგავს. ეს ეხება როგორც ნაციონალებს, ისე ქართულ ოცნებასაც (თუმცა, ამ უკანასკნელს ნაკლებად). ამით აიხსნება აცდენა დღევანდელ პრაგმატულ ევროპულ პოლიტიკურ კურსსა და ქართულ განწყობებს (მოლოდინებს) შორის. და რაც უფრო ადრე გააცნობიერებს ქართული პოლიტიკური სპექტრი და ჩვენი საზოგადოება ამ ჭეშმარიტებას, მით უფრო ადრე შეეძლებთ ობიექტურ რეალობაზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას.

უჩა ბლუაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ თავისთან ეუთოს მისიის აღდგენა დაიწყო

თბილისს იმედი აქვს, დაარწმუნოს მოსკოვი, რათა დაითანხმოს რეგიონში საერთაშორისო მეთვალყურეების დაბრუნებაზე

საძართველომ დაიწყო მუშაობა ქვეყანაში ეუთოს მეთვალყურეთა დაბრუნების შესახებ, რომელთა მისიაც შეწყდა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. მიუნხენის უშიშროების კონფერენციის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 1 თებერვალს განიხილა ეს საკითხი ეუთოს გენერალურ მდივანთან ლამბერტო ზანიერთან ერთად. საკითხი პირველ ხანებში შეიძლება მიმდინარეობდეს ცალკეული პროექტების განხორციელების შესახებ. მისი საქმიანობის სრულმასშტაბიანი აღდგენისთვის საჭიროა კონსენსუსი ეუთოში.

რეგიონში საერთაშორისო მეთვალყურეების პოზიციების გაძლიერების შესაძლო ვარიანტების ძიებას საქართველო აწარმოებს უკვე რამდენიმე წელიწადია. ამჟამად საქართველოს რაიონებში, რომლებიც ესაზღვრებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, სამსახურს ასრულებენ ევროკავშირის წარმომადგენლები. 2008 წლის ომამდე გაეროს წარმომადგენლები თვალყურს ადევნებდნენ სიტუაციას აფხაზეთში, ეუთო კი — სამხრეთ ოსეთში. მათ ხელმძღვანელობდნენ ოფისებიდან, რომლებიც თბილისში იმყოფებოდნენ. შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ აფხაზები და ოსები გამოვიდნენ დაქვემდებარების ასეთი სისტემის წინააღმდეგ. როდესაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მხარი დაუჭირა მოთხოვნას იქ ახალი მისიების გაგზავნის შესახებ, რომლებიც ფორმალურად არ შეეხებოდა საქართველოს. თბილისში ამას არ დეთანხმნენ, შედეგად ეუთოს და გაეროს მეთვალყურეებმა დატოვეს რეგიონი.

ქართველმა დიპლომატებმა უამბეს ჩვენს გაზეთს, რომ თავდაპირველად თბილისი ლობირებდა ვენაში ეუთოს შტაბ-ბინასთან სპეციალური ჯგუფის შექმნას, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა მონიტორინგი სამხრეთ ოსეთში. საქართველო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ეუთოს ცენტრის თანამშრომლებისგან, რომლებსაც შეეძლოთ განეხორციელებინათ რეგულარული ვიზიტები სამხრეთ ოსეთში. რუსეთის მხარე ასეთ იდეას გულგრილად შეხვდა. ამიტომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ყურადღება გაემახვილებინა ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერაზე ეუთოს დახმარებით.

ევროპული ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა ეუთოში ვიქტორ დოლიძემ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ თბილისი აქტიურად განიხილავს ამ საკითხს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში ვენაში 12-14 თებერვალს.

— ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს თავად საქართველოს მხარე არ იყო დაინტერესებული იმით, რომ დაეწყო ეუთოს წარმომადგენლობის ეტაპობრივი განახლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროდან, — გვაცნობა პარლამენტარმა. — **ჩვენ კი ამისთვის მთლიანად ვართ მზად, და კონსულტაციები უკვე დაიწყო. მოდალურობა ან დასახელება შეიძლება მოინახოს ისეთი, რომ მას დაეთანხმოს ორგანიზაციის ყველა ქვეყანა.**

მისი სიტყვებით, სავსებით შესაძლებელია, რომ მისიის შტაბი კვლავ განთავსდეს თბილისში, ჯერ თვალყური ადევნოს სიტუაციას ადამიანის უფლებების დაცვის დარგში რაიონებში, რომლებიც ახლოა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, აგრეთვე ლტოლვილთა შორის. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება თანდათანობით დაიწყოს მოლაპარაკება მეთვალყურეების დაშვების შესახებ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში — რათა შეისწავლონ იგივე საკითხები. ესე იგი მანდატში, როგორც მინიმუმი პირველ ხანებში, არ იქნება სამხედრო პოლიტიკური კომპონენტი — იგი შენარჩუნებული იქნება ევროკავშირის თანამშრომლებისთვის.

დეპუტატის აზრით, საქართველოს ახალი ხელისუფლების დროს საერთო ატმოსფერო ხელს უწყობს უფრო კონსტრუქციულ მოლაპარაკებას რუსეთთან სხვადასხვა დარგში. მით უმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს პოზიცია დიდი საერთაშორისო გამჭვირვალობის დარგში კონფლიქტურ რეგიონში პოულობს მხარდაჭერას პარტნიორებს შორის ეუთოში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლიდან ორგანიზაციის თავმჯდომარეა შვეიცარია — შუამავალი რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის შემდეგ.

4 თებერვალს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პირველი ჯგუფი. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მიგრაციისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ მისი ქვეყნის მონაწილეობა ოლიმპიადაში „არის მშვიდობიანი პროცესისთვის“ ახალი პირობების შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

— რუსეთისთვის რთული იქნება არ შენიშნოს თბილისის პოზიციის ცვლილება ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს, მათ შორის ეუთოს მისიის აღდგენის შესახებ, — განუცხადა ჩვენს გაზეთს სახელმწიფო მინისტრმა. **— რაც შეეხება მისიის განახლებას უშუალოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, იქაც, ჩემი აზრით, უნდა იზრუნონ, რათა არ დაუშვან თვითიზოლაცია. რაც მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია იქნება რეგიონში, მით უკეთესი.**

ეუთოს უკვე აქვს გამოცდილება იყოს შუამავალი რუსეთსა და საქართველოს შორის. 2000 წლის დასაწყისიდან 2005 წლამდე საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე ორ ქვეყანას შორის განთავსებული იყო ამ ორგანიზაციის 150-მდე მეთვალყურე. მიზეზი ის არის, რომ ჩეჩნეთის მეორე კამპანიის დროს მოსკოვი და თბილისი მაშინ ერთმანეთს ბრალს სდებდნენ გამჭვირვალე საზღვრის შექმნაში ბოევიკებისთვის.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

საქართველოს პრემიერმა „ახალი რუსული პოლიტიკა“ გამოაცხადა

ოპოზიციამ მას კაპიტულანტობაში დასდო ბრალი

ნაციონალისტურმა პარტიებმა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამშრომლებმა ბრალი დასდეს საქართველოს პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს „კაპიტულანტობაში“ მოსკოვის წინაშე. ასეთი მკაცრი საყვედურების საბაბი გახდა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის სიტყვა მიუნხენში გამართული უშიშროების საერთაშორისო კონფერენციაზე. თავად ირაკლი ღარიბაშვილმა თავის გამოსვლას „რუსეთთან დამოკიდებულებაში ახალი პოლიტიკა“ უწოდა.

თავდაპირველად პრემიერს თავს დაესხა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი პარტია — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელმაც ბრალი დასდო ირაკლი ღარიბაშვილს „კაპიტულანტურ“ სიტყვაში. კრიტიკა აიტაცეს მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა — მათ პრემიერის გამოსვლას მიუნხენში სამარცხვინო და უპრინციპო უწოდეს. ექსპრეზიდენტის თანამებრძოლებს არ მოეწონათ პრემიერის მიერ გამოთქმული თეზისი: **„არსებობს გადაუჭრელი კონფლიქტები ჩვენს ძმებთან — აფხაზებთან და ოსებთან“. „ამით ღარიბაშვილმა გაითამაშა მოსკოვის წინაშე, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო გაერთიანება, რომ მთავარი პრობლემა — ესაა ეთნიკური კონფლიქტები თავად საქართველოს შიგნით, და არა რუსული აგრესია“,** — აღნიშნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა.

ამ დროს მიუნხენში საქართველოს პრემიერმა ახსენა „ოკუპირებული ტერიტორიებიც“, „პროვოკაციებიც საოკუპაციო ხაზზე“. მან რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ნატოს და ევროკავშირის წევრობისკენ სწრაფვა „ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია“ და რომ თბილისს იმედი აქვს ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ აგვისტოში. მაგრამ მთლიანად ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა იყო შემრიგებლობითი. **„ჩვენ გადავდგამთ მხოლოდ კონსტრუქციულ ნაბიჯებს რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით“,** — დაგვპირდა პრემიერი, რითაც მიესალმა შემხვედრ ჟესტებს მოსკოვის მხრიდან, მათ შორის ქართული საქონლისთვის რუსეთის ბაზრის გახსნას.

ოპონენტებთან დაუსწრებელ პოლემიკაში შესვლის დროს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა უკვე კონფერენციის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების „რადიკალურმა მიდგომამ“ რუსეთთან დაკავშირებით „საქართველოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა“. ამას გარდა, ბატონმა ღარიბაშვილმა შეგვახსენა სრული მხარდაჭერის შესახებ ევროპელი ლიდერების მხრიდან საქართველოს „ახალი პოლიტიკისა, რომლის შედეგადაც რუსეთმა დაიწყო საპასუხო კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა“.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

იანუკოვიჩი მზადაა ვადამდელი არჩევნებისთვის და არ წავა ძალოვან სცენარზე, განაცხადა მისმა წარმომადგენელმა რადაში

თუ ამჟამინდელი მოლაპარაკების პროცესი შედეგს არ გამოიღებს, რჩება მხოლოდ ერთი დემოკრატიული საშუალება გადაიჭრას პოლიტიკური კრიზისი უკრაინაში, განაცხადა ტელევიზიით დეპუტატმა —„რეგიონალმა“ იური მიროშნიჩენკომ. საგანგებო შემთხვევა არ იქნება შემოღებული, დაგვარწმუნა მან. ამ დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დაასახელეს პირობები, რომლის დროსაც მზად არიან მისცენ კიევს „დიდი თანხა“ დახმარების სახით.

* * *

აშშ-მ შესთავაზა რუსეთს „ჟენევა-2“-ის პარალელურად დაიწყოს რეგიონალური მოლაპარაკება ირანის მონაწილეობით

საუდის არაბეთსა და თურქეთს მიიწვევენ მოლაპარაკებაზე, როგორც სირიის ოპოზიციის ძირითად სპონსორს, ირანს კი — როგორც ბაშარ ასადის მთავარ შიიტურ მოკავშირეს. რეგიონალური მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის შუამავლობით შეიძლება დაიწყოს „ჟენევა-2“-ის პარალელურად.

* * *

ეძსპერტთა დაანგარიშებით ერთი წლის განმავლობაში აშშ სკოლებში მოხდა 11 ინციდენტი

სკოლებში უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა რონალდ სტივენსმა განაცხადა, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში დარეგისტრირებულია მთლიანად ძალადობრივი სიკვდილის დაახლოებით ხუთასი შემთხვევა. სტატისტიკა არ შეიცავს მონაცემებს უმაღლეს სკოლებზე — კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მიხედვით.

* * *

ნიუ-იორკში მორიგი დიდთოვლობის გამო სახელმწიფო მოსამსახურეები სახლში დროზე ადრე გაუშვეს

ჯონ კენედის სახელობის აეროპორტი ღებულობს და აგზავნის „აეროფლოტის“ თვითმფრინავებს მოსკოვში უცვლელად. „რეისების გადადება ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის“, — დაგვარწმუნა ავიაკომპანიის წარმომადგენელმა ანდრეი ნოვოკშჩენოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბორტზე ბევრი მგზავრია, რომლებიც სოჭში ზამთრის ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან“.

„მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

ეჰ, ჩემო შალიკო!

აღტაცებით დამდნარი რომ წერ, ზეთს, შაქარს, ფქვილს ურიგებდნენო, რა, დედოფლისწყაროში მზესუმზირის თოხნით ჰქონდათ ხელები გადატყავებული, ქარელში შაქრის ჭარხლის ამოღებით მოიწყვიტეს წელი თუ ქიზიყში ხორბლის მკისას პაპანაქებაში ამოიწვეს თვალები ოფლით?

საიდან ჰქონდათ „ძია ოლეგსა და მის ბიჭებს“ ეს ზეთი, შაქარი, ფქვილი და დაკონსერვებული კიტრი, ა?

ნაძარცვი იყო ყველაფერი, ნაყაჩაღარი და ნაქურდალი. აქა-იქ მენესტრელები რომ გაეჩინათ ამ ჩვენი შალიკოსავით, ვიღაცას მოიმადლიერებდნენ და „ხარება და გოგიას“ თანამედროვე ვარიანტს შეათხზვევინებდნენ (ზოგს მუქარითაც. მე პირადად მგონია, რომ ის თელაველი შალიკო დაშინებული უფრო იყო).

უგროშო ჭირისუფალს (მთელი დუნიიდან ერთს ან ორს) მიცვალებულისთვის კუბოს რომ მიუტან, ან ღვინოსა და საკლავს გაუგზავნი, დასაფლავებაზე მისული 100 კაცი ვაჟკაცობას შეგიქებს და ამ სამადლობელ ხმაურში იქნებ ვერც ვერავინ გაიგოს ასმეერთის ოხვრა — ფიცრები მე წამართვესო, ასმეორის ბოღმიანი წაჩურჩულება — ღვინო მე ამომიხაპეს ქვევრიდანო, ასმესამის გმინვა — საკლავი მე წამლალესო. ასი კაცი ას კაცს ეტყვის და ასე აგორდება.

გახსოვთ: გურჯაანელმა მხედრიონელებმა ბაკურციხის საწყობიდან 9 ტონა კარაქი გაიტაცეს და 300 კილო ბაგა-ბაღებს დაურიგეს, დანარჩენი გაყიდეს და ჯიბეში იკრეს. სანამ იმ ბაგა-ბაღების აღმზრდელები გაერკვეოდნენ, რომ ბავშვებს ნაქურდალს აჭმევდნენ, მანამდე მოსდეს მთელ რაიონს „მოამაგეთა“ ამაგის ამბავი.

იწერებოდა საგაზეთო წერილები, გადაიცემოდა ტელერადიორეპორტაჟები, თქვენ კი გაიხარეთ, ბიჭებო, ჩვენი გახარებისთვისო.

რა თქმა უნდა, მთელი ეს თვალებში ნაცრის ყრა ცოტა ვინმეს თუ შეაცდენდა, იმდენად დიდი იყო მათი ავკაცობის მასშტაბი, იმდენად საყოველთაოდ საჩინო — მათი ნამოქმედარი.

მაგრამ, აკი კაცის გული ისეთია ვით მორევი შავი ზღვისა. გაზულუქდნენ და „სახალხო სიყვარულის“ მოხვეჭაც ინებეს, ყოვლისა მოხვეჭილისა ზედა.

ასეთ ნიუანსებში ხანდახან სრულად გამოკრთება ხოლმე მთელი შიგთავსი, დაფარული ბუნება ადამიანებისა.

შემთხვევით არაფერი ხდება.

არც საქართველოში 1994-1995 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტები ყოფილა შემთხვევითი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენები.

ისინი ერთი მთლიანი ჯაჭვის რგოლები, ერთი მთლიანი პროცესის ცალკეული ეპიზოდები იყო.

გამოძიება დაასკვნიდა: 1994-1995 წლებში შეიკრა მაშველთა კორპუსისა და უშიშროების სამსახურის ზოგიერთი ხელმძღვანელის დანაშაულებრივი კავშირი. და დაიწყო ტერორისტული აქტებისა და სხვა მძიმე დანაშაულთა მოაზრება, დაგეგმვა და აღსრულება.

მკითხველი უკვე გაეცნო როგორ მოკლეს გენერალი გია გულუა და საზოგადო მოღვაწე სოლიკო ხაბეიშვილი.

ახლა სხვა ტერორისტულ აქტებზე გიამბობთ.

სამწუხაროდ, საამბობი ცოტა როდია.

* * *

1994 **წლის** 6 სექტემბერს შეთქმულების ორგანიზატორთა დავალებით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოპერატიული სამმართველოს უფროსმა იური გულიევმა ამავე სამსახურის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფ „ალფას“ ჯგუფის უფროსს გურამ პაპუკაშვილს თბილისი-მოსკოვის მიმართულებით №936 რეისის თვითმფრინავში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანა დაავალა.

ამ რეისით მოსკოვში მიემგზავრებოდნენ გენერლები გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი.

იგორ გიორგაძე და გია ყარყარაშვილი დანასისხლად იყვნენ ერთმანეთთან.

ეს მთელმა საქართველომ იცოდა.

ისიც იცოდა, გია ყარყარაშვილმა სილა რომ გააწნა იგორ გიორგაძეს ერთობ საპატიო და მოსარიდებელი ადამიანების თანდასწრებით...

თუ გძულს, მაშასადამე განუწყვეტლივ ჰკლავ!

როგორც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, გურამ პაპუკაშვილს იური გულიევმა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის შენობაში ხელჩანთა გადასცა.

ეს გარეგნულად ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, ოღონდ საეჭვოდ მძიმე ხელჩანთა სიკვდილით იყო სავსე.

გ. პაპუკაშვილმა ის მანქანაში ჩაიდო და აეროპორტში გაემგზავრა.

გზაში იური გულიევისგან მიღებული ბარგი გასინჯა. ინტერესით შეათვალიერა მასში ჩადებული უცხოური წარმოების ერბოს ყუთი, რომელშიც ჩამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერება და მოწყობილობა საათის მექანიზმით, როგორც იტყვიან, მუშა მდგომარეობაში.

აეროვაგზალში გურამ პაპუკაშვილი რეის №936-ის მგზავრთა რეგისტრაციის ადგილზე მივიდა. ყურადღებით დაკვირდა რიგში მდგომთ. ბოლოს ერთ-ერთს, მისთვის უცნობ ზაზა ნებიერიძეს მიადგა, რაღაც მიუკიბ-მოუკიბა და სთხოვა, ჩემი ხელჩანთა შენს სახელზე გააფორმეო.

ზ. ნებიერიძე დათანხმდა.

ან რატომ არ უნდა დათანხმებულიყო, რომელ ჩვენგანს არ გაუწევია ასეთი სამსახური თანამემამულისთვის.

რა იყო დასაეჭვებელი და საუარო.

ზაზა ნებიერიძეც დათანხმდა და კინაღამ თავიც დაიღუპა და 164 სხვაც!

მათ ჩანთები ერთად აწონეს, ამის შემდეგ გ. პაპუკაშვილმა ზაზას პასპორტი და ბილეთი გამოართვა. ბარგის ღირებულება გადაიხადა, გამორთმეული უკან დაუბრუნა და უთხრა, ხელჩანთაში ტანსაცმელი და ერთი ქილა ერბო მიდევს, თვითმფრინავის სალონში შევხვდებით ერთმანეთსო.

ქილა ერბო... მაინც რა კვიმატი რამ არის ეს ქილა ერბო!

გლეხის და ქილა ერბოს არაკი ხომ გახსოვთ. არაკში გლეხს დაუნგრია ოცნების კოშკი, აქ კი უამრავი ადამიანის სიცოცხლეს დაემუქრა!

დაახლოებით 12 საათზე, რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ, როცა მგზავრები თვითმფრინავში ავიდნენ (მათ შორის, გენერლები ყარყარაშვილი და დათუაშვილი) ზაზა ნებიერიძემ სალონში თავის ახალ ნაცნობს თვალი ვერ მოჰკრა, თანდათან ეჭვმა შეიპყრო და ამის შესახებ თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებს აცნობა.

ფრენა გადაიდო, დაიწყო თვითმფრინავის შემოწმება.

საბარგო განყოფილებიდან ამოღებული ხელჩანთა მოწვეულმა სპეციალისტებმა გახსნეს. მასში იდო საათისმექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის ამოქმედებაც გათვალისწინებული იყო ფრენის დროს, დაახლოებით 13 საათსა და 30 წუთზე, სადღაც რუსეთის ცაში.

ასე სრულიად შემთხვევით ჩაიშალა გურამ პაპუკაშვილისა და სხვათა განზრახვა — ტერორისტული აქტის განხორციელებით აეფეთქებინათ თვითმფრინავი, რომლითაც გია ყარყარაშვილისა და პაატა დათუაშვილის გარდა, მიემგზავრებოდა 164 კაცი, ქალი, ბავშვი, დაიღუპებოდნენ უდანაშაულო ადამიანები, განადგურდებოდა დიდძალი მატერიალური ფასეულობა.

მოფიქრებული, თუნდაც განუხორციელებელი ბოროტმოქმედებაც ბოროტმოქმედებაა!

* * *

1994 **წლის** შემოდგომაზე დაიგეგმა ტერორისტული აქტი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას მიმართ.

ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა გიორგი ჭანტურიას აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მის მიერ საჯაროდ მრავალგზის გამოთქმული კრიტიკა „მხედრიონის“ — მაშველთა კორპუსის და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძვანელთა და სხვათა მიმართ.

იცოდნენ, გია ჭანტურია ის კაცი არ იყო, დაეშინებინათ ან სხვა რამ საშუალებით გაეჩუმებინათ.

მხოლოდ სიკვდილს შეეძლო მისი გაჩუმება.

„გიორგი ჭანტურიას მკვლელობის რეალური შემკვეთი თვით ედუარდ შევარდნაძე იყო, — თქვა 1997 წლის მაისის ერთ-ერთ ინტერვიუში და შემდეგ მრავალგზის გაიმეორა უშიშროების ყოფილმა შეფმა, რუსეთში თავშეფარებულმა გენერალ-ლეიტენანტმა იგორ გიორგაძემ.

გამოძიების მასალები კი გვარწმუნებდნენ, გია ჭანტურიას (და სხვათა) მკვლელობის ორგანიზატორებად ი. გიორგაძე, თ. ხაჩიშვილი, ჯ. იოსელიანი და გ. გელაშვილი ჩანანო. თავის ჩვენებებში თ. ხაჩიშვილი, ფაქტობრივად, ამხელდა როგორც საკუთარ თავს, ასევე ჯ. იოსელიანს, გ. გელაშვილს და... ი. გიორგაძეს.

„რით უნდა შეეშალა ჩემთვის ხელი ჭანტურიას? არაფრით. ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვქონდა“, — გვაუწყებდა ი. გიორგაძე.

ოღონდაც...

მთელმა საქართველომ იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, რომ მათ არ ჰქონდათ „ნორმალური ურთიერთობა“, გ. ჭანტურია დიახაც „ხელს უშლიდა“ ი. გიორგაძეს.

ტერორისტული აქტის განხორციელებამდე გია ჭანტურია და მისი მეუღლე ირინა სარიშვილი საჯაროდ ამხელდნენ ი. გიორგაძეს სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში. მას მოიხსენიებდნენ, როგორც რუსეთის სპეცსამსახურის აგენტს, რომელიც დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენებით ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა დამოუკიდებელი საქართველოს საზიანოდ.

გ. ჭანტურია და ი. სარიშვილი ასევე საჯაროდ ამხელდნენ ჯ. იოსელიანს, როგორც კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელს, რომელიც სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა „მხედრიონის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულ ბანდიტურ ჯგუფებს, სახელმწიფოში დესტაბილიზაციის შექმნისა და ანგარების მიზნით სისტემატურად რომ ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს მოსახლეობას. ჯ. იოსელიანს ამხელდნენ სამოქალაქო ომის დროს ანგარებითს ზრახვებში, ბენზინის მაფიის ხელმძღვანელობაში, ი. გიორგაძესთან ალიანსში. ისინი ხაზს უსვამდნენ ი. გიორგაძის „საქმიანობას“ აფხაზეთის ომის დროს, ბრალს სდებდნენ ქ. გაგრის დაცემაში.

პრესკონფერენციაზე გ. ჭანტურიამ განაცხადა (გაზ. „დრონი“ 1994 წ. 28 ოქტ.-4ნოემბერი). „უშიშროების მინისტრს მძლავრი ლობი ჰყავს დონ ჯაბა კორლეონეს სახით... თუ გიორგაძე არ დატოვებს მინისტრის პოსტს, დამატებით ინფორმაციას ვაუწყებ პრესას გიორგაძის ევროპული ექსცესებისა და კომერციული საქმიანობის თაობაზე, ის, რაც „მხედრიონს“ აქვს, სხვა არაფერია, თუ არა მაფია, მათ აქვთ „უწყებრივი გამოფენა“ მაშველთა კორპუსის, პოლიტიკური საარჩევნო ლობის — საზოგადოება „არჩევნების“ სახით, ტელევიზიის ერთ-ერთი არხი, მაღაზიები, სხვადასხვა დარგი და შეწერილი 60 პროცენტი...“

როგორც იტყვიან, კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჩეხავ.

მაშ, საიდან ეს — „ნორმალური ურთიერთობა“ და „რითი უნდა შეეშალა ჩემთვის ხელი ჭანტურიას“?

შემუშავებული გეგმით, გია ჭანტურიაზე შეიარაღებული თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ ტერორისტული ჯგუფის რუსთაველ ან ბორჯომელ წევრებს საბურთალოზე, გიას საცხოვრებელი კორპუსის (ბალანჩივაძის ქ. №25) მიმდებარე ტერიტორიაზე, იმისდა მიხედვით, თუ რა მარშრუტით იმოძრავებდა მისი მანქანა.

თემურ ქურდიანს, ჩვეულებრივ, დაევალა გია ჭანტურიას გამოჩენისთანავე რადიოგადამცემით ეცნობებინა ამის შესახებ თავდამსხმელებისთვის.

პირველ და ორ დეკემბერს, დილის საათებში ტერორისტული ჯგუფის რუსთაველი წევრები ზ. ჭელიძე, ზ. ხაჩიძე, ლ. მაძღარაშვილი და გ. ძაგანია ჩიქოვანის ქუჩაზე ჩასაფრდნენ, ბორჯომელები გ. თედიაშვილი და ჯ. საყვარელიძე კი — ტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის შენობასთან, მერაბ კოსტავას ქუჩაზე.

ორივე ჯგუფი ავტომატური და გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღებით იყო აღჭურვილი.

პირველ და ორ დეკემბერს განზრახვა ვერ შეასრულეს, ვინაიდან გია ჭანტურიამ ავტომანქანის მოძრაობის მარშრუტი შეცვალა.

ამის შემდეგ ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელებმა და წევრებმა გადაწყვიტეს გია ჭანტურია მოეკლათ რუსთაველ ტერორისტებს უშუალოდ იმის საცხოვრებელ სახლთან, ბორჯომელები კი თავდამსხმელებს დაიცავდნენ ყველა გაუთვალისწინებელი შემთხვევისგან.

3 დეკემბერს, დაახლოებით 9 საათზე, ბალანჩივაძის ქ. №25-თან იოსელიანის ქუჩის მხრიდან ჩასაფრდნენ ზ. ხაჩიძე, ლ. მაძღარაშვილი და გ. ძაგანია.

იოსელიანის ქუჩის №3 კორპუსთან, ავტომანქანით პოზიცია დაიკავეს პისტოლეტებით შეიარაღებულმა გ. თედიაშვილმა და ჯ. საყვარელიძემ.

დაახლოებით 10 საათზე გია ჭანტურია და ირინა სარიშვილი სადარბაზოდან გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. მათთან ერთად იყვნენ პირადი დაცვის მუშაკი მერაბ ბარამია და მძღოლი რევაზ ჯიჯეიშვილი.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-23

◎ უარესიც შეიძლებოდა

ქართველი კალათბურთელები E ჯგუფში ჩეხეთთან, პორტუგალიასთან და უნგრეთთან ერთად მოხვდნენ

ევრობასკეტ 2015-ის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები ცნობილნი არიან. ბარსელონის სასტუმრო „მეჯისტიკში“ გამართული კენჭისყრის შედეგად ჩვენი ნაკრების მეტოქეები გამოვლინდნენ — საქართველო E ჯგუფში ჩეხეთთან, პორტუგალიასთან და უნგრეთთან ერთად მოხვდა.

კალენდარიც ცნობილია: ქართველები ევროშესარჩევ ტურნირს

10 აგვისტოს შინ ჩეხეთთან მატჩით იწყებენ, რის შემდეგაც 3 გასვლითი თამაში აქვთ — 13 აგვისტოს უნგრეთში, 17 აგვისტოს — პორტუგალიაში და 20 აგვისტოს — ჩეხეთში. საქართველო შესარჩევ ტურნირს 2 საშინაო მატჩით დაასრულებს — 24 აგვისტოს უნგრეთს უმასპინძლებს, ხოლო 27-ში — პორტუგალიას.

საქართველო 4-გუნდიან ჯგუფში მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი მე-2 ადგილზე გავიდა, ბოლო — მე-4 ადგილზე გასულ გუნდთან ნაჩვენები შედეგები „ჩამოეჭრება“ და დანარჩენი ჯგუფების მეორეადგილოსნებთან ცალკე კლასიფიკაციაში მოხვდება. ეს საიმისოდაა საჭირო, რომ ევრობასკეტის საგზურის მფლობელები გამოვლინდნენ. ჯგუფებში გამარჯვებულ 7 გუნდს 6 საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება, უარესი შედეგის მქონე მეორეადგილოსანი კი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება.

A ჯგუფი: ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

B ჯგუფი: ბულგარეთი, ისრაელი, მონტენეგრო, ჰოლანდია.

C ჯგუფი: ავსტრია, პოლონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი.

D ჯგუფი: ბელარუსი, მაკედონია, ბელგია, დანია.

E ჯგუფი: პორტუგალია, საქართველო, ჩეხეთი, უნგრეთი.

F ჯგუფი: სლოვაკეთი, შვედეთი, ლატვია, რუმინეთი.

G ჯგუფი: შვეიცარია, რუსეთი, იტალია.

E ჯგუფის კალენდარი

10 აგვისტო

საქართველო — ჩეხეთი,
პორტუგალია — უნგრეთი.

13 აგვისტო

ჩეხეთი — პორტუგალია,
უნგრეთი — საქართველო.

17 აგვისტო

პორტუგალია — საქართველო,
ჩეხეთი - უნგრეთი.

20 აგვისტო

უნგრეთი — პორტუგალია,
ჩეხეთი — საქართველო.

24 აგვისტო

პორტუგალია - ჩეხეთი,
საქართველო - უნგრეთი.

27 აგვისტო

საქართველო — პორტუგალია,
უნგრეთი — ჩეხეთი.

შეგახსენებთ, რომ „ევრო — 2015“-ის ფინალურ რაუნდს გაისად აგვისტოში უკრაინა უმასპინძლებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ცხელ გულზე

მიხეილ გაბრიჩიძე: თანაბარ და ძლიერ ჯგუფში მოვხვდით

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის კენჭისყრას, რომელიც ბარსელონაში გაიმართა, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის დელეგაცია ესწრებოდა. გთავაზობთ ფედერაციის პრეზიდენტის მიხეილ გაბრიჩიძის კენჭისყრის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებს...

— ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა სამართლიანად ჩატარდა, რის შემდეგაც შევიტყვეთ ჩვენი მეტოქეების ვინაობა.

— რას იტყვით E ჯგუფზე, რომელშიც საქართველო მოხვდა?

— შესაძლებელი იყო უფრო ძლიერ ანაც შედარებით სუსტ ჯგუფში მოვხვედრილიყავით. მთლიანობაში უკმაყოფილოები არ ვართ, საკმაოდ ძლიერი და თანაბარი ჯგუფია. ყველა მეტოქესთან მაქსიმალური მობილიზებით გვმართებს თამაში, იოლად არც ერთი მათგანი არაფერს არ დათმობს.

— კალენდარზე რას იტყვით?

— მთლიანობაში ცუდი კალენდარი არაა, თუმცა ზედიზედ 3 გასვლითი მატჩი ცოტა უარყოფითი მომენტია. მიყოლებით ვთამაშობთ უნგრეთში, ჩეხეთსა და პორტუგალიაში. ჩეხეთი და უნგრეთი ერთმანეთთან კი ახლოსაა, მაგრამ მათ შორის პორტუგალიაში გვაქვს თამაში, რომელიც საკმაოდ მოშორებითაა.

— იმაზე რას იტყვით, რომ 4-გუნდიან ჯგუფში მოვხვდით?

— სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისე კი 4-გუნდიან ჯგუფში მოხვედრა იმითაა უკეთესი, რომ ქართველი მაყურებელი მეტ მატჩს ნახავს, კალათბურთელებიც მეტ სათამაშო გამოცდილებას მიიღებენ.

— ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი როდის გადაწყდება?

— 15 მარტს გვეცოდინება, ეროვნულ ნაკრებს კვლავ იგორ კოკოშკოვი უხელმძღვანელებს თუ სათავეში ახალი სპეციალისტი ჩაუდგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოვლენის წინ

საქართველოს დელეგაცია სოჭში გაფრინდა

საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები სოჭში საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად გუშინ გაფრინდნენ. სოჭში გაემგზავრნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი, ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და ადმინისტრაციის წევრი რუსუდან აფციაური.

ქართული დელეგაციის მეორე ჯგუფი სოჭში ხვალ დილით გაემგზავრება. მათ შორის იქნებიან სპორტსმენები, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსნები და სხვა პირები.

სოჭის ოლიმპიადაში სულ ოთხი ქართველი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას: მოთხილამურეები ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიაიძე და მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც სოჭში 14 თებერვალს კანადიდან ჩავა.

საქართველოს ნაკრების მედროშე ოლიმპიადის გახსნაზე ნინო წიკლაური იქნება.

ბეჭან დოლიძე

◎ თავისუფალი ჭიდაობა

ტახტზე ტახტი დააბრუნებს?

იმავ დრო, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ლუკა კურტანიძე 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში იოლად უმკლავდებოდა მეტოქეებს. ცოტა უიღბლობა რომ არა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორსა და ხუთგზის ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულს მეტი წარმატებისთვისაც უნდა მიეღწია. ეტყობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დღემდე აწუხებს ვეტერან ფალავანს, ამიტომ წონით კატეგორიებში ფილას მიერ შეტანილი ცვლილებების შემდეგ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა 97 კილოში კვლავ სცადოს ძალები. პირველი მკაცრი გამოცდა კურტანიძეს 6-7 თებერვალს თეირანში ელის „ტახტის თასზე“. საქართველოს ნაკრები ირანში გუშინ გაფრინდა. რევაზ მინდორაშვილის გუნდში, ვეტერანი მოჭიდავის გარდა, არიან ბექა ბუჯიაშვილი, ოთარ გოგავა, ლაშა ტალახაძე (სამივე — 57), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), კონსტანტინე ხაბალაშვილი (65), დიმიტრი ბასილაშვილი (70), იაკობ მაქარაშვილი (74), დავით ქერაშვილი (97) და დავით მოძმანაშვილი (125). 86 კილოში უნდა ეჭიდავა ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორ დავით მარსაგიშვილს, მაგრამ ვარჯიშისას მან ტრავმა მიიღო და თეირანში მის ნაცვლად სანდრო ამინაშვილი იასპარეზებს.



ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

თურქებს „ოლიმპიკში“ უმასპინძლებენ

წლეულს 15 თებერვალს საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში თურქეთის ეროვნულ გუნდს შეხვდება. ეს იქნება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საპლეიოფო პაექრობა. განმეორებით მატჩს პირველ მარტს სტამბოლი უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის - ვლადიმერ ისელიძისა და მწვრთნელ იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა ჰერცეგ ნოვიში (ჩერნოგორია) და ადგილობრივ გუნდებთან ამხანაგური მატჩებიც გამართა. ორ პაექრობაში ვეტერანი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძეც მონაწილეობდა. არადა, მას აქტიური სპორტისთვის თავი დანებებული ჰქონდა, მაგრამ მნიშვნელოვანი პაექრობების წინ გადაწყვიტა, რომ საკუთარი გამოცდილებით ეროვნულ ნაკრებს დაეხმაროს.

ორი დღის წინათ ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდა აზიის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ყაზახეთის ნაკრები. ჩვენი გუნდი აზიელებთან ამხანაგურ შეხვედრებს დღეს და ხვალ გამართავს.

ლაშა დიდია

◎ კრივი

ანაპაში იასპარეზებენ

1996-1997 წლებში დაბადებულ მოკრივეთა მსოფლიოს პირველობას წლეულს აპრილში სოფია უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები კუკური შავგულიძის ხელმძღვანელობით ამას წინათ ბაკურიანში იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე. გუნდის წევრთაგან შვიდი მოკრივე დღეს ანაპაში (რუსეთი) გაემგზავრება. ჩვენი ბიჭები რუსეთის ნაკრებთან ერთად 13 დღე ივარჯიშებენ, ხოლო 19-24 თებერვალს ანაპაშივე თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან. იქაურ რინგზე გავლენ: გაგიკ პოზოიანი (49 კგ, ახალქალაქი), ლევან კლდიაშვილი (52 კგ, ქუთაისი), ლევან ანთია (56, ფოთი), ლაშა გურული (60, რუსთავი), ნუკრი ადამია (64, ფოთი), ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ჭაბუკებში გიორგი ხარაბაძე (69, ქუთაისი) და ბექა დანელია (75, ფოთი).

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

პირველი ათეული უცვლელია

ერთი კვირის წინანდელი შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. პირველი ათეული უცვლელი დარჩა: 1. სერენა უილიამსი (აშშ, 13.000), 2. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 6581), 3. ნალი (ჩინეთი, 6570), 4. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 5750), 5. მარია შარაპოვა (რუსეთი, 5600), 6. პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი, 4745), 7. სარა ერანი (იტალია, 4425), 8. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 4310), 9. ანგელიკ კერბერი (გერმანია, 4030), 10. სიმონა ჰალეპი (რუმინეთი, 3760)...



ქართველთაგან ანა ტატიშვილმა სამი საფეხურით გადაინაცვლა წინ და ახლა 554 ქულით 115-ე ადგილზეა. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 209 (213). სოფიო შაფათავა (288), 317 (313). ოქსანა კალაშნიკოვა (150), 414 (418). ეკატერინე გორგოძე (97), 453 (454). მარგალიტა ჩახნაშვილი-რაიცინგერი (81). 832 (832). სოფიო ქვაცაბაია (20), 1184 (1184). მარიამ ბოლქვაძე (5), 1234 (1232). თამარ ჭალაგანიძე (3).

ვაჟა ნოსირელი

◎ ბარომეტრი

თემურ ქეცბაიას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო ხელფასს აღარ გადაუხდის

საძართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიასა და მისი შტაბის ხელფასს სახელმწიფო აღარ გადაიხდის.

არსებული ინფორმაციით, ეს თანხა წლიურად 2,52 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხას აქამდე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო იხდიდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით მწვრთნელს ანაზღაურებას ფეხბურთის ფედერაცია გადაუხდის.

სახელმწიფოს მიერ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის მოსახმარი თანხა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს დაურიგდებათ.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე ოთარ გიორგაძე აცხადებს, ფეხბურთის ფედერაცია თემურ ქეცბაიას ხელფასს 2015 წლის ბოლომდე გადაუხდის.

„რაც შეეხება იმას, შეუმცირდება თუ არა მთავარ მწვრთნელს ანაზღაურება, ამაზე განცხადება მოგვიანებით გაკეთდება“, — აღნიშნა გიორგაძემ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ეკა კვიტაშვილის განცხადებით, სამინისტროს ფეხბურთის ფედერაციამ რამდენჯერმე მისწერა წერილი, რომ სამინისტროს გადაეხადა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასი.

„ამასთან დაკავშირებით, ფედერაციას მივწერეთ ოფიციალური პასუხი, რომ სამინისტროს მიუღებლად მიაჩნია მწვრთნელისთვის მაღალი ანაზღაურების გადახდა, მით უფრო — ეროვნული ნაკრების ასეთი შედეგების ფონზე.

რეკომენდაცია იყო, ხომ არ აჯობებდა, ეს თანხა მოხმარებოდა ასაკობრივი ნაკრებების მომზადებას, ბავშვთა ფეხბურთს, რეგიონებს, ანუ ფეხბურთის საფუძვლების გამყარებას. ცხადია, საჭირო იყო დაფინანსების დეტალური გაწერა, მაგრამ ისე არა, როგორც ადრე ხდებოდა.

ფედერაცია რომ ითხოვს მწვრთნელის ხელფასს, ეს სახელმწიფოს კუთვნილი სახსრებია, სამინისტრო კი ვალდებულია, ის აზრიანად და მიზანმიმართულად განკარგოს.

ამ მიმოწერის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთის ფედერაციამ თავად გადაწყვიტა, ნაკრების მწვრთნელს ხელფასი აუნაზღაუროს, ხოლო მისთვის განკუთვნილი სახსრები ეროვნულ ჩემპიონატს მოახმაროს“, — განაცხადა ეკა კვიტაშვილმა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

იგი ყველას დააკლდება

ამ დღეებში საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი შეუერთდა სულეთს.

ლუის არაგონესი მადრიდის „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში სამჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხოლო 1974 წელს ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში პარტნიორებთან ერთად წამები დააკლდა ტრიუმფამდე, როცა მიუნხენის „ბაიერნთან“ დრამატული ბრძოლის დამატებით დროში მეტოქემ ანგარიში საფინალო სასტვენის წინ გაათანაბრა — 1:1 (შვარცენბეკი), მეორე დღეს კი პირენეულ კლუბს ფსიქოლოგიური რესურსები აღარ ეტყო ტიტულის მოსაპოვებლად — 0:4.

არაგონესის სამწვრთნელო მოღვაწეობა ხომ განსაკუთრებული საუბრის თემაა. შეგახსენებთ, რომ სწორედ მან დაუდო სათავე „ფურია როხას“ დღემდე უძლეველ ეპოქას, როცა თანამემამულეებს „ევრო-2008“ მოაგებინა.

დავძენთ, რომ სახელოვანი სპეციალისტი 75 წლის იყო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ინფორმაცია

სარფის საბაჟოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გამშვებპუნქტ „სარფის“ ტერიტორიაზე თურქეთიდან შემოსული თურქეთის მოქალაქის ე.ე.-ის კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას 155,22 გრ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 9939,45 ლარი შეადგინა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, თურქეთის მოქალაქეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 9939,45 ლარის ოდენობით.

მდინარე რიონი, პალიასტომის ტბის სანაპირო და მდინარე კაპარჭინა გაიყინა

სპეციალისტების განმარტებით, ვინაიდან საქართველო სუბტროპიკულ ქვეყნებს განეკუთვნება, მსგავსი შემთხვევა იშვიათობას წარმოადგენს.

ბოლოს პალიასტომი 2008 წელს გაიყინა, მაშინ ტბის 80% იყო გაყინული. ამჯერად, გაყინული ზედაპირის ფართობი, სანაპიროდან 10 მეტრის რადიუსზე ფიქსირდება. სპეციალისტების განმარტებით, ტბის ბინადრებისთვის არსებული ვითარება საფრთხეს არ წარმოადგენს.

სპეციალისტების განმარტებით, ფოთში ღამის განმავლობაში -2,2 გრადუსამდე ყინვა დაფიქსირდა, შესაბამისად, გამდინარე წყალი ამ ტემპერატურაზე ვერ გაიყინებოდა.

— ყინულის ფენა, რომელიც დევს მდინარე რიონის ზედაპირზე სათავედან წამოსული გაყინული წყლის ფრაგმენტებია, — განმარტავენ ფოთის ჰიდროგრაფიულ სამსახურში.

სინოპტიკოსები გამოდარებას უახლოესი დღეებისთვის ვარაუდობენ.

ინტერპრესი

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით აუწყებს გვარიშვილებს, მკითხველებს და ფართო საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და სასიქადულო მამულიშვილი

რინოს თეოფანეს ძე კვარაცხელია

და გულითადად თანაუგრძნობს მეუღლე ლეოლას და ქალიშვილს თამარს მისი გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 6, 7 II, დაკრძალვა 8 II, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში.

რინოს კვარაცხელია იყო პიროვნება, კაცი, რომელიც ამშვენებდა თავის საგვარეულოს, სოფელს, რაიონს, მშობლიურ კუთხეს და ქვეყანას. იგი, როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გულში ჩამწვდომი, მაღალმხატვრული ლექსებითა და ნარკვევებით ეხმიანებოდა მამულის ყველა სატკივარს და დაუცხრომლად იღვწოდა მათ დაძლევაში წვლილის შესატანად, რასაც აღწევდა კიდეც!

აღესრულა, როგორც ვალმოხდილი, პირნათელი მოღვაწე თავისი ერისა.

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

ამირან მეიფარიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლია ჩხენკელი, შვილი ირინე ხომერიკი, შვილიშვილები ნინო, ანა ლორთქიფანიძეები, სიძეები ვაჟა ლორთქიფანიძე, ლევან გურგენიძე, გოგი ლორთქიფანიძე, მძახლები დოდო ჩიხლაძე, დავით გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი

ოთარ ხომერიკი

პანაშვიდი 6, 7 II, 17 სთ. მისამართი: ლარსის ქ. №5, გამოსვენება 8 II, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ცენტრალურ შესასვლელთან მდებარე მაცხოვრის ამაღლების ტაძრიდან.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები თებერვალში

თებერვალში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 1,4-6, 10-12, 15, 20-22, 25-28 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების გაჩენა. ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.

6 — მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ეს არის დრო გაზრდილი აქტიურობის, სიჯიუტის, მოთმინებისა და შეუვალობისა. დიდია კონფლიქტების ალბათობა. ყველაზე საალბათოა კისრის, ყელის, კბილების, ფარისებრი ჯირკვლების, სასუნთქი და ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა ალბათობა. არ არის გამორიცხული კვებითი და მედიკამენტებით მოწამვლა, ერიდეთ გაცივებას, ხმის იოგების გადატვირთვას, უხარისხო პროდუქტებს, უცნობ წამლებს.



11 — მთვარე-იუპიტერის შეერთება. გაზრდილია ემოციურობა, მგრძნობელობა, გამოხმაურება, სურვილი ასწავლო სხვას და იყოს ყურადღების ცენტრში. საალბათოა კუჭნაწლავთა ტრაქტის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებანი, შეშუპება. ერიდეთ გადაციებას, სტრესებს, უარი თქვით ცხიმიან და ცხარე საკვებზე, დაიცავით დიეტა. თვალყური ადევნეთ მკერდის კუნთების მდგომარეობას, ერიდეთ ზედმეტ საკვებს — კარგი მადის დროს ადვილია წონის მომატება. ხელსაყრელი დროა სახლში სიმშვიდის შექმნისთვის, დასვენებისა და გასეირნებისთვის.

15 — სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. საალბათოა პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ატმოსფერული წნევის ვარდნები, სახსრების სპაზმები. შესაძლებელია ნერვიულობა, უყურადღებობა, იმის სურვილი, რომ ვაკრიტიკოთ ყველა. ყველაზე საალბათოა ნერვული სისტემის დაავადებანი, უძილობა, აგრეთვე, კუჭქვეშა ჯირკვლების და კუჭნაწლავთა ტრაქტის დარღვევა. ჯანმრთელობის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი კვება.

20 — მთვარე-მარსის შეერთება. გეუფლებათ მიზანსწრაფულობა, აქტიურობა, გაღიზიანება და სიმკვეთრე, სურვილი, იდგე შენს პოზიციაზე, ახდენდე ადამიანის მანიპულირებას. სტრესები და უმართავი ვნებები შეიძლება გახდეს გასტრიტისა და წყლულოვან დაავადებათა მიზეზი. შეინარჩუნეთ სიმშვიდე, აკონტროლეთ საკუთარი პოზიციები, ძლიერი აღგზნების დროს გამონახეთ დრო რელაქსაციისთვის, ერიდეთ გაციებას, დიდ ფიზიკურ და გონებრივ გადატვირთვებს. დაიცავით დიეტა, უარი თქვით ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლზე.

22 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარე-სატურნის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ყველა ქრონიკულ დაავადებათა, განსაკუთრებით ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამწვავება. არ არის გამორიცხული სასქესო ორგანოების, შარდსადენი გზების, მენჯ-თეძოს სახსრების დაავადებანი, მოდუნება, დეპრესია, ცხოვრებისეული ძალების უკმარისობა. არახელსაყრელი დროა ახალი საქმეებისა და გეგმების წამოწყებისთვის.

25 — მთვარე-პლუტონის შეერთება. შესაძლებელია შარდ-სასქესო ორგანოების, ხერხემლის, სახსრების, განსაკუთრებით მუხლის, კბილების დაავადებანი, მელანქოლია, ცუდი შეგუება მიმდინარე მოვლენებისადმი. კარგი განწყობილებისთვის აუცილებელია საკუთარი ღირსების და სარგებლიანობის გრძნობა, წესრიგი და დისციპლინა. გარშემომყოფთა კეთილგანწყობა, იმის შესაძლებლობა, რომ გამოხატო საკუთარი ემოციები, ურთიერთობა იქონიო მომწიფებულ ადამიანებთან, ერიდეთ გაციებას და დიდ ფიზიკურ გადატვირთვებს, ადამიანების დიდი შეკრების ადგილებს. წარმატებული იქნება სერიოზული მუშაობა, გაკაჟება, ტანის მოვლა და გამაჯანსაღებელი პროცედურები.

26 — მთვარე-ვენერის შეერთება. შესაძლებელია იმპულსურობა, გაღიზიანება, მიდრეკილება მოულოდნელ და არაორდინარული ქცევებისადმი. ერიდეთ გაციებას, გადაციებას, კვების ძველ პროდუქტებს, თვალისა და ფეხების გადაღლას. სასარგებლოა გასეირნებანი, ხელოვნების საგნებთან ურთიერთობა, კონცერტებზე, გამოფენებზე და ვერნისაჟებზე დასწრება, საკუთარ თავისა და სახლის მორთვა.

28 — მთვარე-მერკურის შეერთება. შეიძლება გაგვიჩნდეს სირთულეები ინფორმაციის აღქმასთან და დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავება, დეპრესია, ანემია, ფეხებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. სასურველია, უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებსა და ყავაზე.

დაიჯესტი

რატომ მაინცდამაინც ტკბილი?

მაინც რატომაა, რომ ტკბილი გემო თითქმის ყველას, ერთიანად დიდ-პატარას უყვარს?

ყველაფერი კაცობრიობის ევოლუციურ განვითარებასთანაა დაკავშირებული, აცხადებენ ენდოკრინოლოგები. იმის გამო, რომ სიტკბო ნაყოფის

სიმწიფისა და, შესაბამისად, საჭმელად ვარგისობის უტყუარი ნიშანია, ტკბილ გემოსთან მუდამ დადებითი ემოციები იყო დაკავშირებული. დროთა განმავლობაში კი ეს ემოციები განმტკიცდა. სხვა გემო ასეთ დადებით ემოციას არ იწვევდა — მჟავე ხომ სიმკვახის ნიშანია, მწარე გემო კი, პრაქტიკულად, საჭმელად ვარგის არც ერთ ნაყოფს არა აქვს.

თამბაქო ნაყოფს დედის მუცელშივე ვნებს

დიდი ხანია ცნობილია, რომ თამბაქოს მწეველ მშობელთა შვილები ხშირადაც ცივდებიან და, თანატოლებთან შედარებით, უფრო მეტად სხვა ავადმყოფობებითაც სნეულდებიან.

მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ორსულობის დროს დედის მიერ თამბაქოს მოწევა ნაყოფის ბარიერულ ფუნქციასა და მის იმუნიტეტს აქვეითებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვი ნორმალური წონისა იბადება.

სახიფათო ხმაური

ალმოჩნდა, რომ თვითმფრინავების ძრავების ხმაური გულის სისხლძარღვთა დაავადების რისკს ზრდის.

მკვლევარებმა აეროპორტების მიმდებარე რაიონები შეისწავლეს, სადაც თვითმფრინავების ძრავების ხმაური საშუალო დონე (45 დეციბელი) დასაშვებ ზღვარს (40 დეციბელს) აღემატება. აღმოჩნდა, რომ ნორმის ყოველი 10 დეციბელით გადამეტება გულის სისხლძარღვთა დაავადების საფრთხეს 3,5 პროცენტით ზრდის, ხოლო იქ, სადაც ხმაურის დონე 60 დეციბელს ჭარბობს, ამ დიაგნოზით ხალხის ჰოსპიტალიზაციის დონე 25 პროცენტთი მაღალია.

ასაკი სისხლით დადგინდება

პოლანდიელმა მეცნიერებმა უნიკალური მეთოდიკა შეიმუშავეს, რომლითაც ადამიანის ასაკის დადგენა... სისხლის წვეთით იქნება შესაძლებელი.

მეთოდი იმუნური სისტემის უჯრედების ანალიზს ეფუძნება, რომელთა ზოგიერთი ნაწილი ორგანიზმში გროვდება. სისხლში „საჭირო“ ელემენტების დათვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი მფლობელის ასაკის დადგენა. ეს პროცედურა იმის მსგავსია, როგორც ხის ასაკის დადგენა რგოლების მიხედვით.

ოხრახუშის „მონა ლიზა“

მალაიზიელი მხატვარი ქალი ხონგ ჯი ჩვეულებრივ ფანქრებსა და ფუნჯებს არ სწყალობს და ნამუშევრების შექმნისას ყველაფერს იყენებს, რაც ხელში მოყვება.

ეს კი, უფრო ხშირად... ხილი ან ბოსტნეულია, თუმცა კი ხშირად „საქმეში გადის“ წინდები, ცხვირსახოცები, ბურთები... თავის ბოლო პროექტს, რომელზეც საჭმელი სახლები და ბუები იყო გამოსახული, მან „31 დღე საჭმელთან ერთად“ უწოდა.

ხონგ ჯის კოლეგა ალონ ზიდი კი უფრო შორს წავიდა: ლეონარდო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილი სურათი „მონა ლიზა“... ბროკოლით, ბადრიჯნით, ოხრახუშითა და სხვა ბოსტნეულითა და მწვანილით „დახატა“. აღსანიშნავია, რომ ნამუშევრების მთელი მასალა მან საკუთარ ბოსტანში მოიყვანა, რომელსაც... ფუნჯებით ამუშავებს.

პანდების ეროტიკული ფილმები

ცხოველთა მრავალი სახეობა დედამიწაზე ამჟამად გადაშენების პირასაა მისული, მათი გადარჩენა მხოლოდ ზოოპარკებში არსებული ინდივიდების გამრავლებითაა შესაძლებელი, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ ბევრი მათგანი ტყვეობაში, ფაქტობრივად, არ მრავლდება.

ასე გადაშენდა, კერძოდ, გალაპაგოსის გიგანტური კუ, რომლის ბოლო დარჩენილი ეგზემპლარები ერთმანეთთან არაფრით არ შეწყვილდა. იგივე ბედი ეწია ტილაცინს (ჩანთოსან მგელს), ზებრის ერთ-ერთი სახეობას კვაგას, ზღვის დელფინს ბაიძის. გადაშენების პირზეა მისული სუმატრის ჯუჯა მარტორქა, ამერიკის აბორიგენი ბინადარი ყლალი მგელი, დასავლეთის რუხი ვეშაპი, უსურიის ვეფხვი. ჩინელებმა კი ბამბუკის დათვების, გიგანტური პანდების შობადობის გასაზრდელად, ცხოველებს... ფილმებს აჩვენებენ, რომლებზეც მათი სახეობის სექსუალური ურთიერთობებია აღბეჭდილი!

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყმენწილ-ი ვარხელებულან

გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 300-მდე იძნება

2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად — ქვეყანაში სულ 3668 სოფელი იყო, საიდანაც 164 სოფელში არავინ ცხოვრობდა, 52 სოფელში კი 1-დან 10 კაცამდე, 169-ში 25 კაცამდე იყო დარჩენილი. დღეს კი დემოგრაფები ამბობენ, ისეთი სოფლების რაოდენობა, რომლებიც მთლიანად გაუკაცრიელებულია, შესაძლოა, 300-საც კი აჭარბებდეს. დაცლის საშიშროების წინაშე არა მარტო მთის, არამედ ბარის სოფლებიც დგას. მართალია, აღწერის ჩაუტარებლობის გამო, შიდა მიგრაციასთან დაკავშირებით ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ექსპერტული გათვლებით, სახარბიელო მდგომარეობა არც იქაა. რამდენიმე ბარის სოფელში იმ მოსწავლეების რიცხვი, რომლებიც პირველ კლასში მიდიან, ყოველწლიურად მცირდება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ან ოჯახები ტოვებენ სოფელს, ან კიდევ გამრავლებაზე აღარავინ ფიქრობს.

„რეზონანსი“

სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი შეგვრჩა?

„ძრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის განცხადებით, „თუკი „საარჩევნო კოდექსი“ არ შეიცვლება, თამამად შეიძლება მას სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი ეწოდოს.“

„თუკი აქამდე იყო სააკაშვილის კოდექსი, ახლა იქნება სააკაშვილ-ივანიშვილის კოდექსი. ალბათ, იკითხავთ, რა შუაშია ივანიშვილი? სწორედ ივანიშვილი დაჰპირდა ევროპელებს, „გაგაკვირვებთ დემოკრატიითო“, ჩვენ კიდევ დაგვპირდა, „ამ მაჟორიტარულ სისტემას საერთოდ მოვსპობ და გავაუქმებო“. შეასრულოს ახლა თავისი სიტყვა და რჩევა მისცეს ირაკლი ღარიბაშვილს, შეცვალოს მოქმედი კოდექსი“, — განაცხადა ვეფხვაძემ.

იყო თუ არა ბადრი ბიწაძე 2007 წლის აქციის დაშლის ინიციატორი?

ამაში გასარკვევად „ალია“ იმ მოვლენების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, გოგა ხაინდრავას დაუკავშირდა, რომელიც ამბობს:

— 2007 წლის დარბევის დამგეგმავი და შესრულებელი იყო სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, უგულავა. მათ ახლა „შიდარაზბორკა“ დაეწყოთ, ერთმანეთზე კუჭი აეშალათ და ამიტომ ხდება ეს ყველაფერი. სხვებზე გადაბრალება და კამერების წინ ტირილი მერაბიშვილს არ უშველის. ბიწაძესა და ბურჯანაძეს თავისი ცოდვებიც ეყოფათ და მაგათი სალაპარაკო ნამდვილად არაა. ნოემბრის აქციის ცოდვები კი მერაბიშვილის კისერზე დარჩება...

„ალია“

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

— ბრ მესმის, რატომ ჰქვია ასეთ ნორმალურ რესტორანს „ბანდიტი“.

— ანგარიშს რომ მოგიტანენ, მიხვდებით.

* * *

— **რატომ** მომატყუეთ, როდესაც მითხარით, ბანკში შვიდწლიანი მუშაობის გამოცდილება მაქვსო, როდესაც თურმე არასოდეს არ გიმუშავიათ იქ? — ეკითხება სამუშაოს მაძიებელს გაკვირვებული ბანკირი.

— მაგრამ განა სწორედ თქვენ არ გამოაქვეყნეთ განცხადება, მდიდარი ფანტაზიის მქონე კაცი მჭირდებაო?

* * *

— **რიგითო** ივანოვ, როგორც მითხრეს, წუხელ ყაზარმაში გალეწილი მთვრალი მოსულხართ და თანაც თურმე მოპარულ ურიკასაც მოაგორებდით. ეს მართალია? — ტყავს აძრობს ჯარისკაცს განრისხებული ოფიცერი.

— მართალია!

— დაპატიმრებული ხართ! ნაბიჯით იარ ჰაუპტვახტისკენ!

— არის! მაგრამ იქნებ გაიხსენოთ, რომ იმ ურიკაში თქვენ იწექით?

* * *

პატარა პეტკა დაუკაკუნებლად შევიდა მშობლების საძინებელში და უმალ მიიღო პასუხი იმაზე, რისი კითხვაც მათთვის სურდა.

* * *

დასვენება საქმიანობის შეცვლაა. დაიღალეთ წითელი ხიზილალის კოვზით ჭამით? დაიწყეთ შავი ხიზილალის ჭამა.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24